პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. კ. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მაურ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 14—76.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—13.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—14.000.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 10.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 258 პარასკევი, 9 ნოემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000 მ ნ. № 258

დ ღ ი უ რ ი

პოლონეთში რკინიგზელთა საერთო [illegible] ქირს ტრამვაის მუშებმა.

ბერლინზე გასალაშქრებლად ამხედრებულ ფაშისტურ რაზმს ხელმძღვანელობს გენერალი ლიუდენდორფი.

რეიხსვერმა დაიჭირა წითელი ტიურინგია, სადაც დაიწყო მასიური ჩხრეკა-დაპატიმრება.

გერმანიის კომპარტია მუშებს მოუწოდებს საყოველთაო გაფიცვისაკენ.

ბერლინში გრძელდება ებრაელების დარბევა.

ორშაბათს, 12 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე,
სახალხო სახლში (კირკის ქ.)
მოწვეულია

ტფილისის საბჭოს მორიგი სხდომა.

დღის წესრიგი: 1. მოხსენება ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობის შესახებ, 2 მოხსენება სადგილ-მამულო განყოფილების მუშაობის შესახებ.

საბჭოს ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

საბჭოს წევრებს დაურიგდებათ აღმასკომის მუშაობის ანგარიში.

731—2—1 პრეზიდიუმი.

ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა 9 ნოემბერს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგი გამოიმუშაონ თვით რაიკომებმა და უჯრედებმა

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუზენი.

საქსონიის შემდეგ ტიურინგია

,,დიდი კოალიციის'' დახმარებით, კერძოთ ამ კოალიციაში ყოფილი სოციალ-დემოკრატების სიტყვიერი წინააღმდეგობით და ფაქტიურათ კი ხელისშეწყობით გერმანიის მებრძოლი ნაციონალიზმი, დაყრდნობილი რაიხსვერზე, თანდათან იკავებს ცენტრალური გერმანიის წითელ რესპუბლიკებს. ერთი კვირის წინეთ ფაშისტებმა დაიპყრეს საქსონია, გააუქმეს იქ ,,მემარცხენე'' სოციალ-დემოკრატებისა და კომუნისტების კოალიციონური მთავრობა და ხელისუფლება ჩააბარეს მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებს, რასაკვირველია, დროებით, სანამ მოიყვანდნენ მათი ნების უკეთეს ასრულებელთ. დღევანდელი ცნობით კი იმავე ბედს უმზადებენ ფაშისტები წითელ ტიურინგიასაც. ორივე შემთხვევაში ბერლინის ცენტრალური მთავრობა მიმართავს ,,ლამაზ'' ხერხს. ჯერ აგზავნის ჯარს რესპუბლიკის საზღვარზე, თითქოს შავი ბავარიის თავდასხმისაგან მისი დაცვის მიზნით და შემდეგ, როდესაც სამხედრო ძალა საკმაოა იმისთვის, რომ მას წინააღმდეგობა ვერ გაუწიონ წითელ რესპუბლიკის შეიარაღებულმა დამცველებმა, ამ დროს რაიხსვერის წინამძღოლები ააშკარავებენ თავიანთ მიზანს, საიდანაც სჩანს, რომ ბავარიის ფაშისტებისათვის წინააღმდეგობის გაწევა მათ აზრათაც არ მოსვლიათ და რომ ერთათ ერთ იმათ მიზანს შეადგენდა ასეთი ხერხით წითელ რესპუბლიკის დაკავება, მისი შეიარაღებული ძალის განიარაღება. ამნაირათ, ასე დაიწყეს საქსონიაში წითელი ასეულების იარაღის აყრა, კომუნისტების და საქარხნო კომიტეტების დევნა. იგივე მეორდება დღეს, როგორც ზემოთაც ვთქვით, ტიურინგიაშიაც.

ამნაირათ ჩვენ ჯერჯერობით მოწამენი ვხდებით ფაშისტების ძლევამოსილი განვითარებისა გერმანიაში. პატარა უთანხმოებისა და ხანმოკლე დაბნეულობის შემდეგ შავმა რეაქციამ შესძლო შეკავშირება და გაერთიანებული ძალით დარტყმა ეგრედ წოდებულ ,,დემოკრატიაზე'', რომლის მემარჯვენე ფრთას წარმოადგენდა სახალხო პარტიის მემარცხენე ფრაქცია, ხოლო მემარცხენეს—სოციალ-დემოკრატია.

ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ შტრეზემანის მთავრობა იქნება გარდამავალი ან მემარჯვენე ან მემარცხენე დიქტატურისაკენ. სიტყვიერი ,,პასიური წინააღმდეგობა'', რომელსაც კოალიცია აწარმოებდა შავების წინააღმდეგ არასოდეს არ იყო სერიოზულად მისაღები მხედველობაში. შტრეზემანის მთავრობას უნდა გაეადვილებია ფაშისტების საქმე, ამ უკანასკნელებს კი მხოლოთ სიტყვა უნდა დაეთმოთ კოალიციონური პარტიებისთვის. დღეს შტრეზემანის მთავრობა არსებობს, მაგრამ იმავე დროს არც არსებობს და ეს ფრიად დამახასიათებელია ეხლანდელი მდგომარეობისათვის გერმანიაში. ის ,,არსებობს'' ,,მემარცხენეების'' გულის მოსაგებათ და გულუბრყვილოების გამოსაჩერჩეტებლათ, არ არსებობს კი ფაქტიურათ, რადგან არავითარ წინააღმდეგობას არ უწევს შავებს, იმ წინააღმდეგობას, რომელსაც მას ავალებს მისი ლიტონი სიტყვა მაინც. ასეთია ეს მატყუარათა მთავრობა, რომელიც პირნათლათ ასრულებს თავის მოწოდებას.

ტიურინგიის თანდათან დაკავების მაგალითი ეუბნება გერმანიის რევოლიუციონურ მუშათა კლასს, რომ მის წინააღმდეგ ამდგარია „ერთიანი რეაქციონური მასა“. რომ როგორც წმინდა ბურჟუაზიული პარტიები, ისე მემარჯვენე სოციალისტები და მემარცხენე სოციალისტებიც დაბოლოს—ყველა ერთათ არის დასაძლევი და მათ შორის არჩევანი, „უკეთესის“ გამოძებნა შეუძლებელია. ამ ,,ერთიან რეაქციონურ მასას“ უნდა დაუპირისპირდეს ერთიანივე რევოლიუციონური ფრონტი პროლეტარიატის. თუ ეს არ მოხერხდა ამ ახლო მომავალში, თუ გინდ წინააღმდეგ მემარჯვენე ბელადებისა—საზოგადოებრივ ძალთა ამ პირველ შეჯახებაში შესაძლებელია გაიმარჯვოს ფაშიზმმა, რომელიც „მოამზადებს“ ნიადაგს პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებისათვის“ გერმანიაში.

ჩვენი კოოპერატივები და მათი როლი საქონლის ფასების მოწესრიგებაში

თუ როგორ დიდია კოოპერატივების მნიშვნელობა ჩვენს დღევანდელ ეკონომიურ აღმშენებლობაში, ამაზე ზედმეტია ლაპარაკი; ეს დღეს ყველასათვის ცხადი და აშკარაა. მაგრამ თუ როგორ ნელი ტემპით და სიძნელით ხდება მათი ამ მოწოდების ცხოვრებაში განალდება და დასახული მიზნის მიღწევა, ამას აშკარათ გვიჩვენებს ის გარემოება, რომ ჩვენში არსებობენ ბევრი კოოპერატივები, რომლებიც, თუ პოლიტიკური ენით ვიტყვით, მხოლოდ ფედერატიულათ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და არა ცენტრალისტურათ. ასეთი მდგომარეობა კი წარმოებასა და ალებ-მიცემობაში დიდათ შემაფერხებელია ქვეყნის ეკონომიურათ განვითარებისათვის.

თანამედროვე საზოგადოების ეკონომიური ცხოვრება აშკარა მაჩვენებელია იმის, რომ წარმოება და ალებმიცემობა გადაჭრით უარყოფს დაქსაქსულობას, თუ გინდ ეს „ფედერატიულ კავშირშიაც“ იყოს გამოსახული და მოითხოვს უდიდეს ცენტრალიზაციას.

რომ ჩვენში საკმაო რიცხვია კოოპერატივების, რომლების მთავარი მოვალეობა ჩვენი ქვეყნის ნივთიერი წარმატებაა ეს ყოველგვარ დავის გარეშეა, მაგრამ რომ ეს კოოპერატივები ვერ ასრულებენ ჯერ კიდევ სავსებით მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ესეც ცხადი უნდა იყოს. ამის პირველი მიზეზი კი ისაა, რომ ისინი ვერ არიან კიდევ საკმაოთ ძლიერი ცალ-ცალკე, რათა შეეჯიბრონ კერძო ინიციატივას და კონკურენციის საშუალებით დაამარცხოს ის. ხოლო რომ ეს შეჯიბრება და კონკურენცია ბურჟუაზიასთან არაა ოცნება და ფანტაზია, როგორიც იყო კაპიტალიზმის (ბურჟუაზიის სახელმწიფოში) პირობებში, ამის თავდებია პროლეტარიატის დიქტატურის არსებობა ჩვენში. მაშასადამე ამ მხრივ ჩვენს კოოპერატივებს არავითარი დაბრკოლება არ აქვთ. საჭიროა მხოლოდ იმ დაბრკოლებისა და სიძნელის დაძლევა, რომლებიც თვითონ მათზეა დამოკიდებული.

რა არის ის გარემოება, რომელიც აიძულებს ჩვენს კოოპერატივებს არსებობდნენ ცალ-ცალკე ორგანიზაციულათ? რატომ უნდა არსებობდნენ კოოპერატივები საერთოდ, რომლებსაც აერთიანებს და მჭიდროთ აკავშირებს ერთ ორგანიზმათ ცეკავშირი და, მეორე მხრით, მთლიანი მუშათა კოოპერატივები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და სხვა.

ჩვენის ფიქრით ეს არაა დადებითი მოვლენა ჩვენს კოოპერატიულ ცხოვრებაში და საჭიროა ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ წარმატებისათვის. მჭიდროთ შეკავშირებული ერთ ორგანიზმათ ყველა კოოპერატივები უფრო იოლათ და უფრო მალე შეძლებენ დასახულ მიზნის მიღწევას და ამგვარათ მათი დანიშნულების პირნათლათ სისრულეში მოყვანას; ეს დანიშნულება კი მდგომარეობს უმთავრესათ საქონლის ფასების მოწესრიგებაში ბაზარზე ბურჟუაზიისთვის ინიციატივის წართმევით. როდესაც ისინი გაერთიანებული იქნებიან ჩვენი ქვეყნის ფარგლებში მჭიდროთ, ისინი ღონიერი იქნებიან ნივთიერათ. ეს კი შეძლებას მისცემს მათ ფასების გიგანტური და სწრაფი ზრდა შეაჩერონ და ამგვარათ სპეკულიაციას ფეხები შეუბორკონ. მათ შეეძლებათ ასეთ პირობებში დაუკლონ თავიანთ საქონელს ფასი არა ათი პროცენტით ბაზრის ფასთან შედარებით, არამედ თუთხმეტიც, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში საქონლის ტრიალი გაიზრდება და მით უფრო მეტი შემოსავალი ექნებათ ვიდრე მაშინ, როდესაც ცალცალკე იმოქმედებენ შეზღუდული თანხებით და ფასებს დასწევენ მხოლოდ ათი პროცენტით.

მეორე მხრით, ჩვენს კოოპერატივებს აწევთ მოვალეობა არა მარტო საქონლის ფასების მოწესრიგებისა საერთოდ, არამედ იმ არანორმალობის მოსპობაც (საქონლის ფასების მხრივ), რომელიც გამოიხატება, ერთი მხრით, სასოფლო სამეურნეო და მეორე მხრით, ქალაქის ინდუსტრიალურ ნაწარმოებთა ფასების შეუფარდებლობაში. სახელდობრ: ერთი მხრით, ძალზე დაბალი ფასებია სოფლის მეურნეობის ნაწარმოებზე და, მეორე მხრით, მაღალი ფასებია ქალაქის ნაწარმოებზე, ეს კი მუშისა და გლეხის, ქალაქისა და სოფლის მჭიდრო კავშირისათვის დიდათ შემაფერხებელი მოვლენაა.

მაშასადამე ჩვენს კოოპერატივებს ამ მხრივაც დიდი მოვალეობა აწევთ. ასეთ არანორმალურ ფასების მოწესრიგება მათ შეეძლებათ ისევ და ისევ მჭიდროთ გაერთიანებით. განსაკუთრებით ამის საჭიროება ხდება ნათელი და პირდაპირ აშკარა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის.

ამგვარათ ჩვენი კოოპერატივების მჭიდროთ გაერთიანება ერთ ორგანიზმათ უდიდესი თავდები იქნება საქონლის ფასების მოწესრიგებისათვის, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით, და კერძო ინიციატივის დასამარცხებლათ მეტოქეობის საშუალებით, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი სოციალისტური მეურნეობის წარმატებას.

ქ. კომუნაძე.

წერილები ბერლინიდან

სოციალ-დემოკრატიის გაკოტრება.

გერმანიის სოციალ დემოკრატია ისტორიის ამ საშინელ ქარტეხილში საძაგელ, ტრაგიკულ და ფარისევლურ როლს თამაშობს. სოციალ-დემოკრატებმა შტრეზემანთან ერთად შემოიღეს საალყო წესები, ე. ი. მთელი დიქტატორული ძალაუფლება გადასცეს 7 გენერალს გენერალ ფონ-სექტის მეთაურობით. ისინი მზად იყვნენ ჩაედინათ ყოველგვარი მოღალატეობა ოღონდ კი თავიდან აეცილებიათ სამოქალაქო ომი. საალყო წესები სრული თავისუფალი განვითარების საშუალებას აძლევს ფაშისტურ აგიტაციას, ფაშისტურ ორგანიზაციებს, საალყო წესები მიმართულია რესპუბლიკის წინააღმდეგ, საქსონიის მუშური მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც ხელმძღვანელობს სოც.-დემოკრატი—ცეიგნერი, საალყო წესების პირობებში კი ფაშიზმის განვითარება საშინელის სისწრაფით მიაქანებს გერმანიას სამოქალაქო ომისაკენ.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც იქნა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს საალყო წესების მოხსნას და „ფორვერტს“ ვარჯიშობს უმიზნო და უფერული პროტესტების შედგენაში.

სოციალ-დემოკრატებს, რომ პოლიტიკური გამბედაობა შესწევდეთ, სოციალ დემოკრატმა მინისტრებმა გარკვეული ულტიმატუმი უნდა წარუდგინონ შტრეზემანს და გამოვიდენ მთავრობიდან.

„მაგრამ ისინი არ იზამენ ამას“,—მარწმუნებდა დღეს ერთი სოციალ-დემოკრატი. მათ კარგათ იციან თუ რა პასუხს მიიღებენ ამ ულტიმატუმზე:

„მიდიხართ? დაიკარგეთ, გზამშვიდობისა“.

თითქმის მთელი პარტია შორდება მათ. პარლამენტის ფრაქციის დიდ უმრავლესობას, რომელიც მაინცა და მაინც რევოლიუციონურად არ არის განწყობილი, სურს შესწყვიტოს თანამშრომლობა ბურჟუაზიასთან. ეს უკანასკნელი ცდა იქნება ამ ზედკრული პარტიის ნაშთების გადასარჩენად. ყველგან გრძნობენ, რომ სწორია კომუნისტების ტაქტიკა და ქმნიან ერთიან ფრონტს მათთან საქსონიისა და ტიურინგიის შემდეგ, ასევე ხდება ჰამბურგში, ზოლინგენში, ფრანკფურტში; ამის შესახებ სწარმოებს მოლაპარაკება ბერლინში. ბონში სახელმწიფო მოხელეებმა განაცხადეს, რომ ისინი მხარს უჭერენ კლასობრივ ბრძოლას და პროლეტარიატის დიქტატურას. კოოპერატივთა 22 კავშირი, რომლებიც სრულიად არ არიან გამსჭვალული კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობის შეგნებით, მოითხოვენ კონგრესის მოწვევას მასების სასურსათო მდგომარეობის საკითხის განსახილველად. ამ მოკლე ხანში შესდგება სოც.-დემოკრატიული პარტიის ბერლინის საოლქო კონგრესი. ბერლინში წინდაწინვე იციან, რომ ამ კონგრესზე ძლიერი იქნება ოპოზიცია.

შესწყდა ძველი გერმანული სოციალისტური გაზეთის „ნეიე ცაიტ“-ის გამოცემა. „ნეიე ცაიტ“-ის გამოცემა დაიწყო 1885 წელს, მას 32 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კაუცკი. გაზეთის დახურვის მიზეზია უსახსრობა და მკითხველების არყოლა.

ასე დალია სული გერმანიის სოციალ-რეფორმიზმის ავტორიტეტულმა ორგანომ.

შესაძლებელია ამაზე უდიდესი გაკოტრება!

არეულობა სიმშილობის ნიადაგზე.

არეულობები სიმშილობის ნიადაგზე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. 12-დან 18 ოქტომბრამდე სიმშილობის ნიადაგზე სერიოზული გამოსვლები მოხდა გიოხტში მაინზე, სადაც საჭირო დარჩა საფრანგეთის ჯარის ჩარევა, რადგან პოლიცია უძლური აღმოჩნდა; ასეთი გამოსვლები მოხდა ფრანკფურტში, ჰანნოვერში, ლეიპციგში, ბიბერიხში, სადაც ხალხმა განაიარაღა პოლიცია, რომელსაც დაეხმარა ფრანგების ჯარი,—გამოსვლები მოხდა აგრეთვე გილზენკირხენში, დიუსელდორფში, კიოლნში, მანჰეიმში, ჰალბერშტადტში, ორგელსბურგში, ბერლინში. ბერლინში დაარბიეს ფურნეები და საბაკალეიო დუქნები. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიცია ამ უკანასკნელი გამოსვლების დროს ნაკლებ სიმკაცრეს იჩენდა, ვიდრე წინათ. ხშირად პოლიცია მასის მიმართ იჩენდა აშკარა თანაგრძნობის პოზიციას. რეიხსვერმა კი მეინინგენში ხალხთან შეტაკების დროს, რომლის მიზეზები ჯერ გამორკვეული არ არის, იარაღს მიმართა და მოჰკლა ორი მოქალაქე (14 ოქტომბერს).

ხალხი დამშეულია. სიმშილი აიძულებს მას ქუჩაში გამოვიდეს. მშიერებით სავსეა მთელი გერმანია. მშიერთა არმია კი ადვილად შესაძლოა გადაიქცეს საშინელ რევოლიუციონურ არმიათ. 1 ივლ. ბერლინში იყო 68 ათასი უმუშევარი, სექტემბრის პირველ რიცხვებისათვის მათი რაოდენობა უდრიდა 110.000, 6 ოქტომბერს - 160.000 ამჟამად კი მათმა რიცხვმა 200,000 გადააჭარბა. მთელ გერმანიაში უმუშევართა რიცხვი 2 000.000 მეტია.

საშინელ მდგომარეობაში არიან ეს უმუშევრები. მეწარმოებელთა ლოკაუტმა რეინლანდში და რურის ოლქში უფრო გააუარესა მათი მდგომარეობა. 5—6 მილიონი მუშა კვირაში მუშაობს მხოლოდ რამდენიმე დღეს. ჩვენმა ამხანაგებმა ლიუბეკის გაზ. „ფოლკსბოტე“-ში გამოიანგარიშეს, რომ გერმანელი მუშის შრომის ხელფასი ამჟამად უდრის ომამდი არსებული ნორმის 15—20 პროცენტს. მუშა მეთითონე კვირაში იღებს ექვსნახევარ მილიარდ მარკას, მღებავი 11-დან 18 ოქტომბრამდი იღებდა კვირაში 6 მილიარდ მარკამდი იმ დროს, როცა დოლარი 7 მილიარდი ფასობდა! 16 ოქტომბერს კვერცხი 110 მილიონი მარკა ღირდა. ფეხსაცმელი, უბრალო, კი 10 დოლარი ღირს.

საყურადღებო ფაქტი.

უმაღლეს სასამართლოს მიერ რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულობის მოწყობისათვის პასუხისგებაში მიცემული და დაპატიმრებული ფაშისტური ორგანიზაციების ორგანიზატორი როსბახი 13 ოქტომბერს დროებით გაანთავისუფლეს ლეიპციგის ციხიდან. ბრძანებაში მისი განთავისუფლების შესახებ ნათქვამია, რომ „არავითარი საფრთხე მისი გაქცევის არ არსებობს“. საქსონიის პრემიერმა ცეიგნერმა როსბახის განთავისუფლების შესახებ ცნობის მიღებისთანავე, კვლავ გასცა ბრძანება მისი დატუსაღების შესახებ. მაგრამ უკვე გვიან იყო. როსბახმა თავს უშველა, მან თავი შეაფარა ბავარიაში.

— „როსბახის გაქცევის არავითარი საფრთხე არ არსებობს“.

სანამ დრეზდენში სწარმოებს მზადება სასტიკი რეპრესიებისათვის, მიუნხენიდან მიღებული ცნობებით ინციდენტი ბავარიისა და ტიურინგიის საზღვარზე, მოგვარებულია. ღამით 9 ოქტომბერს ბავარიის ბანდებმა სროლა აუტეხეს ტიურინგიის პოლიციას. მიუნხენში ამას ხსნიან იმით, რომ საჭირო იყო ზომების მიღება ,,წითლების ბავარიაზე თავდასხმის წინააღმდეგ“. ამრიგად ჰიტლერის ანტი-მუშურმა რაზმებმა და ფონ-კარის ფაშისტურმა ბანდებმა მოქმედება დაიწყეს.

რ. ალბერტ.

ბერლინი, 20 ოქტომბერი.

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა“-ს ცნობები).

ბერლინზე გალაშქრება: საიმპერიო მთავრობა ოფიციალურად მოუწოდებს მცხოვრებთ დაიცვან წესრიგი და სიმშვიდე მოსალოდნელი თავდასხმის გამო.

ფაშისტურ რაზმს, რომელიც აპირებს ბერლინზე გალაშქრებას, ხელმძღვანელობს გენერალი ლიუდენდორფი.

მთავრობის „ზომები“: შტრეზემანი მოლაპარაკებას მართავს ნაციონალისტებთან, რათა მათი საშუალებით შექმნას მცირე კოალიცია, რომელსაც დაეყრდნობა მთავრობა.

ტიურინგიის დაკავება: რეიხსვერმა დაიკავა წითელი ტიურინგია; გრძელდება მასიური დაპატიმრებანი. დაატუსაღეს მუშები და კომუნისტური პარტიის წარმომადგენელნი

დარბევა ბერლინში: ბერლინში გრძელდება სასურსათო მაღაზიების დარბევა. დარბევის დროს ულეტენ და ანადგურებენ ებრაელებს.

ბერლინზე გალაშქრება

ლიუდენდორფი გალაშქრების მეთაურია.

ბერლინი. 6 ნოემბ. მთავრობის ცნობით, ფაშისტური გამოსვლა დანიშნულია ხუთშაბათისათვის. პომერანიაში, ბრანდენბურგში და სილეზიაში ფაშისტების საიდუმლო მებრძოლი კავშირები გაფაციცებით ემზადებიან გამოსვლისათვის, როსბახის საერთო ხელმძღვანელობით. ჩრდილოეთ-ბავარიაში გამოსვლას აწყობს ერხარდტი. ორთავე ემყარება ლიუდენდორფს. ფაშისტურმა კავშირებმა („ფოლადის მუზარადი“ და „ფრონტოვიკების კავშირი“) მიმართეს შტრეზემანს მოთხოვნილებით, „მილიონიან ყოფილ ფრონტოვიკ-ჯარისკაცების სახელით, დაუყოვნებლივ გამოაცხადოს ნაციონალური დიქტატურა საქსონიაში ხდება ყველა ნაციონალისტების მობილიზაცია.

ბერლინი. 6 ნოემბ. „პტი პარიზიენ“-ის ცნობით, გერმანიაში ფაშისტური მოძრაობის სამხედრო და ტეხნიკურ მხარეებს ხელმძღვანელობას უწევს ლიუდენდორფი.

შავი რეიხსვერი მზად არის.

ლონდონი. 6 ნოემბ. „მანჩესტერ გარდიენ“-ის ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ შავი რეიხსვერის ყველა წევრებს ბრძანება მისცეს, 4 ნოემბრიდან მზად იყვნენ შეტევისათვის. ლიუდენდორფმა საბოლოოთ მოამზადა ბერლინის ხელში ჩაგდება სამხედრო რაზმებით, რომლებიც გარშემორტყმული არიან ბერლინის გარშემო,—დომერმიუნდედან ოდერის ფრანკფურტამდე.

გერმანიის მთავრობის მოწოდება.

ბერლინი. 6 ნოემბ. გერმანიის მთავრობის მიერ გამოქვეყნებული მოწოდება გაკვრით ახსენებს ცნობას ფაშისტურ მებრძოლ კავშირების ულტიმატუმის შესახებ. მოწოდებაში ნათქვამია: „ზოგიერთი წრეები ცდილობენ გავლენა მოახდინონ მთავრობაზე და ემუქრებიან მას სამოქალაქო ომით. მთავრობა გამოვა მთელი ენერგიით, რათა დაიცვას სახელმწიფოს მთლიანობა და უზრუნველყოს თავისუფლება და წესრიგი. მემარჯვენეთა დიქტატურა ვერ გააუმჯობესებს საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობას, ის მხოლოდ გააღრმავებს ფინანსიურ და სამრეწველო კრიზისს და სეპარატისტული მოძრაობის საფრთხეს.

საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში მემარჯვენეების დიქტატურა ვერ იქნება საქმიანი, რადგანაც მისი არსებობა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

საიმპერიო მთავრობას ჰყავს თავის განკარგულებაში საკმაო ძალები—რეიხსვერი და პოლიცია და მას მხარს უჭერს წესრიგის მოყვარული მოსახლეობა“.

შტრეზემანის მთავრობის ჩამოგდების წინ

გერმანელ კანცლერის ლიტონი სიტყვები.

ბერლინი. 6 ნოემბერი. შტრეზემანმა, ჰესლერმა და გენერალ სექტმა გამოსთქვეს აზრი რესპუბლიკის თავდაცვის რაზმების წინააღმდეგ, რადგან მათი აზრით რეიხსვერი და პოლიცია შესძლებენ მემარჯვენეთა გამოსვლის მოგერიებას. სოციალ-დემოკრატები არ იღებენ თავდაცვისათვის არავითარ ზომებს და კმაყოფილდებიან მხოლოთ აღნიშვნით, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა საფრთხეშია. შტრეზემანი ცდილობს კნილინგის ნეიტრალიზაცია მოახდინოს და მოლაპარაკებას აწარმოებს ბავარიის სახალხო პარტიასთან იმპერიის იუსტიციის მინისტრის პოსტზე ბავარიელის დანიშვნის შესახებ.

ნაციონალისტურ პარტიის პროტესტის მიუხედავათ, რეიხსტაგის უხუცესთა საბჭომ გაურკვეველ ვადისთვის გადასდო რეიხსტაგის სხდომა.

მთავრობის უმოქმედობა ხელს უწყობს ფაშიზმს.

ბერლინი. 6 ნოემბერი. სოციალ-დემოკრატებმა გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მთავრობის უმოქმედობა ამაგრებს ფაშისტების რწმენას გამარჯვებაში. მოწოდება წინადადებას აძლევს რესპუბლიკის მომხრეებს აწარმოონ ბრძოლა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან დაკავშირებით.

დემოკრატიულ პარტიის მოწოდება

ბერლინი 6 ნოემბერი. დემოკრატიული პარტია მოუწოდებს პარტიის ყველა იმ წევრთ, რომლებსაც შეუძლია იარაღის ხმარება, მზად იყონ იმ მომენტისათვის, როდესაც ცენტრალური მთავრობა გამოიწვევს მათ რესპუბლიკის დასაცავათ.

ბავარიაში გამოსვლის მზადება სწარმოებს.

ბერლინი. 6 ნოემბერი. ბავარიიდან იუწყებიან ფაშისტურ გამოსვლის მზადების შესახებ. ერხარდტის ბრიგადა ბერლინზე დაუყოვნებლივ გალაშქრებას მოითხოვს. მიუნხენში სამშაბათისათვის დანიშნული იყო „საზოგადოებრივ კავშირთა“ წარმომადგენლების სხდომა პროფესორ ბაუერის თავმჯდომარეობით: ამ კავშირთა წარმომადგენლები ჰიტლერის ორგანიზაციების ძლიერ გავლენის ქვეშ იმყოფებიან და კვირას დემონსტრაცია ჰქონდათ რუპრეხტის, ლოსოვისა და ჰიტლერის თანდასწრებით.

ტიურინგიის დაკავება

რეიხსვერის მოძრაობა ტიურინგიის საზღვრისაკენ.

ბერლინი. 6 ნოემბერი. რეიხსვერის მოძრაობა ტიურინგიის საზღვრის მიმართულებით გრძელდება, რასაც ოფიციალურათ ამართლებენ კობურგში შეკრებილ ჰიტლეროველებისაგან საზღვრის დაცვის საჭიროებით. გენერალ რეინგარდტმა წერილობით აცნობა ტიურინგიის მთავრობას, რომ პროლეტარულ რაზმების განიარაღებისათვის შექმნილია რეიხსვერის ახალი რაზმები.

რეიხსვერი ტიურინგიაში.

ბერლინი, 7 ნოემბერი. რეიხსვერი შევიდა ტიურინგიაში. სამხედრო ხელისუფლება მასიურათ აპატიმრებს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წევრებს, აუქმებს რესპუბლიკის თავდაცვის ორგანიზაციას და პროლეტარულ რაზმებს.

რეიხსვერი „მუშაობს“.

ბერლინი, 7 ნოემბერი. შევიდა რა ტიურინგიაში 6 ნოემბერს ღამით და დაიკავა რა გოტა, ეიზენახი, ერფურტი და გერა, რეიხსვერი დაუყოვნებლივ შეუდგა კომუნისტების მასიურ დაპატიმრებას. გოტაში დახურულია კომუნისტური გაზეთი და დაპატიმრებულია მისი რედაქცია. პროფკავშირთა შენობის წინ გაშწკრივებულია ტყვიისმფრქვეველთა და ჯავშნოსანი რაზმები.

ტიურინგიის ოკუპაციის ხელმძღვანელმა, გენერალ რეინგარდტმა განაცხადა, რომ პროლეტარული რაზმები წარმოადგენენ წესრიგის დამღვევ ელემენტს და ამიტომ საჭირო იყო მათი ლიკვიდაციაო. ტიურინგიის დაცვა ბავარიის თავდასხმისაგან წარმოადგენდა მხოლოდ მანიოვრს ტიურინგიის მუშათა მთავრობის ლიკვიდაციისათვის

რეიხსვერი გაგზავნილი იყო ტიურინგიაში მაშინ, როდესაც გენერალ მიულერმა განაცხადა, რომ „წესრიგის დაცვის“ მიზნით საჭიროა ტიურინგიის მთელი ტერიტორიის ოკუპაციაო.

წითელი ტიურინგიის აწიოკების დასაწყისი.

პარიზი. 8 ნოემბერი. ტიურინგიაში გაგზავნილმა რეიხსვერის ნაწილებმა, რომელთაც ევალებოდათ ბავარიის მხრივ ნაციონალისტების შემოტევის საფრთხის თავიდან აცდენა, იმის მაგიერ, რომ გამოსულიყვნენ ნაციონალისტების წინააღმდეგ, დაიწყეს პროლეტარული რაზმების განიარაღება და დაიკავეს სამხედრო წესით ტიურინგიის დედა ქალაქი ვეიმარი ისევე, როგორც თავის დროზე დაკავებული იქნა ლეიპციგი და დრეზდენი საქსონიაში. ამის გამო ბერლინში აცხადებენ, რომ რეიხსვერი იყო გაგზავნილი ტიურინგიაში როგორც ბავარიის ნაციონალისტების წინააღმდეგ გასალაშქრებლათ, ისე ტიურინგიაში მოქმედების დასაწყებლად.

ბერლინი. 8 ნოემბერი. რეიხსვერის ნაწილებმა დაიკავეს ტიურინგიაში მთელი რიგი ქალაქებისა, სადაც განაიარაღეს პროლეტარული რაზმები.

ტერორი ბავარიაში

ზარბიან.

ბერლინი 6 ნოემბერი. ბავარიიდან ტიურინგიაში ჩადიან მრავალი ლტოლვილები, უმთავრესათ მემარცხენე პარტიების წარმომადგენლები. კობურგის პოლიციამ ბრძანება მიიღო ბავარიის მთავრობისაგან კომუნისტებისა და მუშათა პარტიის პარტიულ კომიტეტების თანამშრომლების დატუსაღების შესახებ. კობურგიდან გადასახლებულნი იქნებიან ებრაელები.

კონტროლი მიმოსვლაზე ბავარიასა და ტიურინგიას შორის.

ბერლინი. 6 ნოემბერი. ნეიშტადში დაატუსაღეს და გამოურკვეველია საით წაიყვანეს მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის 8 მოღვაწე.

მიმოსვლას ბავარიასა და ტიურინგიას შორის კონტროლს უწევენ შეიარაღებული ფაშისტები, რომელნიც ახდენენ დაპატიმრებას, თითქოს ბავარიის მთავრობის დავალების თანახმათ.

საყოველთაო გაფიცვისათვის

კომპარტიის მოწოდება საყოველთაო გაფიცვისაკენ.

ბერლინი. 6 ნოემბერი. კომპარტიამ არალეგალური მოწოდებით მიმართა მუშებს გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა იმ შემთხვევაში, თუ ფაშისტები გამოვიდენ.

მცირე კოალიციის მოლოდინში

მცირე კოალიციის პროექტის წინააღმდეგ.

ბერლინი. 6 ნოემბ. მემარჯვენეები განაგრძობენ ბრძოლას შტრეზემანის განზრახვის წინააღმდეგ შექმნას მცირე კოალიცია სახალხო პარტიისა, დემოკრატებისა და ცენტრისაგან. გაზ. „კრეიცცეიტუნგში“ ვესტარპი აცხადებს, რომ ბავარია თანახმა არ არის მოლაპარაკება დაიწყოს შტრეზემანის მთავრობასთან, რომელიც ეყრდნობა მცირე კოალიციას, რადგან ბავარიას არ აქვს გარანტია იმისა, რომ შტრეზემანის მთავრობა საბოლოოთ განთავისუფლდა ,,მარქსიზმის გავლენისაგან“. ვესტარპი აცხადებს, რომ ბავარიის გამოსვლა აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ არ იქნა შედგენილი მარქსიზმისაგან დამოუკიდებელი მთავრობა და რომ რეიხსვერი ვერ გაუმკლავდება ბოლშევიკურ საშიშროებას, თუ ჩრდილოეთ გერმანიის სამშობლოს დაცვის კავშირები მხარს არ დაუჭერენ მთავრობას.

შტრეზემანის ახალი კაბინეტი

ბერლინი 6 ნოემბ. შტრეზემანს განზრახვა აქვს აღდგენის მინისტრის თანამდებობა დასტოვოს დაუკავებელი; შინაგან საქმეთა მინისტრათ იაკობერტის დანიშვნამ გააძლიერა მთავრობის მემარჯვენე ფრთა, რომელსაც უნდა განხეთქილება ჩამოაგდოს საფრანგეთთან. შრომის მინისტრი ბრაუნსი (ცენტრის წარმომადგენელი) ემხრობა მემარჯვენეთა ორიენტაციას. მემარჯვენე ფრთის სათავეში სდგას ვირტი.

იმედი არა აქვს მოსახლეობის „ერთგულების“

ბერლინი 6 ნოემბ. სოციალ დემოკრატიის, დემოკრატების და ცენტრის ფრაქციების წარმომადგენლები მოლაპარაკებას აწარმოებენ ებერტთან იმის შესახებ, რომ მიღებული იქნეს სათანადო ზომები იმისთვის, რომ მოსახლეობამ დაიცვას ერთგულება რესპუბლიკისადმი და შევიდეს ადგილობრივ პოლიციის რაზმებში. შტრეზემანმა ეს პროექტი უარყო.

მთავრობა ,,ბრძოლის ველზე“

„მუშების მოწოდება“.

ბერლინი. 6 ნოემბერი. „შტურმფანე“-ს მაგივრათ ორშაბათს არალეგალურათ გამოვიდა „არბეიტერ რუფ“ (მუშების მოწოდება), რომელიც მოუწოდებს მუშებს შექმნან წარმოებებში პროლეტარული ჯგუფები და ყოველი საშუალება იხმარონ იარაღის მოსაპოებლათ.

16 პასუხისმგებელ კომუნისტის დატუსაღება.

ბერლინი. 6 ნოემბერი. დატუსაღებულია კომპარტიის 16 პასუხისმგებელი მუშაკი, მათ რიცხვში „როტე ფანე“-ს სტამბის გამგე.

სურსათის ნაკლებობა.

ბერლინი. 6 ნოემბერი. ბერლინის შუა ნაწილში დაკეტილია სურსათის ყველა მაღაზიები. შემჩნეულია სურსათის დიდი სიმცირე.

მთავრობის მანევრი.

ბერლინი. 6 ნოემბერი. კრონში ტიურინგიის საზღვარზე ჩავიდა 6 ცხენოსანი პოლკი და მძიმე არტილერია. ტიურინგიის მთავრობამ გააძლიერა ადგილობრივი პოლიცია და დააყენა იგი საზღვარზე. ტიურინგიის მუშების სულიერი განწყობილება მტკიცეა. კარს, როგორც სჩანს, არ აქვს განზრახვა ხელი შეუშალოს ჰიტლერის ორგანიზაციების გალაშქრებას, რათა თავიდან მოიშოროს ისინი. ბავარიის მთავრობა ოფიციალურად იუწყება, რომ ერხარდტის ბრიგადა, საფინანსო და სასურსათო დაბრკოლებათა გამო, იშლება. თავდაცვის სამინისტრომ გაგზავნა ტიურინგიის საზღვარზე კავალერიის და არტილერიის რაზმები, მაგრამ უარი სთქვა მოხალისეების გაწვევაზე, რასაც დაჟინებით მოითხოვენ ბურჟუაზიული დემოკრატები და სოციალ-დემოკრატები. ზევერინგმა აცნობა ბურჟუაზიულ დემოკრატებს და სოციალ-დემოკრატებს იმის შესახებ, რომ საიდუმლო ორგანიზაციების მობილიზაცია დადასტურებული ფაქტია, რის გამოც [illegible].

კრებების აკრძალვა გერმანიის რევოლიუციის წლის თავზე.

დრეზდენი. 6 ნოემბერი. გენერალმა მიულერმა აკრძალა კრებები საქსონიის ყველა ქალაქებში გერმანიის რევოლიუციის წლის თავზე 9 ნოემბრისათვის.

ხემნიცის გაზეთის დახურვა.

ბერლინი. 6 ნოემბერი. ხემნიცში დახურეს გაზეთი „კემპფერი“, დააპატიმრეს თანამშრომლები. რედაქცია პოლიციამ დაიკავა.

მთავრობის „ზომები“

შტრეზემანის თათბირი ნაციონალისტების ლიდერთან.

ბერლინი. 8 ნოემბერი. კანცლერ შტრეზემანს გუშინ თათბირი ჰქონდა გერმანიის ნაციონალისტების ლიდერთან გერგტთან კაბინეტის რეორგანიზაციის შესახებ.

სახალხო პარტიის დაახლოვება ნაციონალისტებთან.

პარიზი 8 ნოემბერი. ,,ტან“-ის ცნობით, სახალხო პარტიას ემჩნევა ნაციონალისტებთან დაახლოვების ტენდენცია. შტრეზემანმა უკვე დაიწყო მოლაპარაკება ნაციონალისტების ლიდერ გერგტთან. დემოკრატები და ცენტრი ეწინააღმდეგებიან ნაციონალისტებთან შეთანხმებას.

19 ნოლი...

პარიზი. 8 ნოემ. გერმანიის ემისია აღწევს ციფრს, რომელიც უნდა დაიწყოს ასე: ერთი და მას შემდეგ 19 ნოლი.

სპეკულიაცია ვალიუტით.

ბერლინი. 6 ნოემ. თუმცა ლონდონისა, ვისბადენისა და კელნის ბირჟებზე დოლარი ღირს 5 ტრილიონი მარკა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, სახელმწიფო ბანკმა არ შეცვალა ოფიციალური კურსი, რომელიც უდრის 420 მილიარდ მარკას. ბირჟაზე მომუშავეები ყიდულობენ სახელმწიფო ბანკში უცხო ვალიუტას ამ კურსის მიხედვით და კოლოსალურ მოგებას იღებენ. იმის გამო, რომ ვაჭრებმა არ წააგონ განსხვავებაზე დოლარის ოფიციალურსა და ფაქტიურ კურს შორის, ისინი სწევენ ფასებს ოქროს კურსის მიხედვით.

მარკის კოტიროვკის შეწყვეტა.

ბერლინი. 6 ნოემ. ნიუ-იორკის გარდა, გერმანიის მარკის კოტიროვკა შეწყდა კოპენჰაგენსა და შვეიცარიის ბირჟებზე.

კერძო პირებისაგან ფქვილის ჩამორთმევის პროექტი.

ბერლინი. 6 ნოემ. მთავრობას განზრახვა აქვს ჩამოართვას კერძო პირებს ფქვილის მარაგი.

აღელვება მცხოვრებლებში.

ბერლინი. 6 ნოემ. ფასების ზრდამ პურზე მეტათ აღელვა ბერლინის მოსახლეობა. მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს მეფურნეებთან ფასების შემცირების შესახებ. პურზე ფასების ზრდა გამოიწვია იმან, რომ სახელმწიფო საწყობები ვერ აძლევენ მეფურნეებს ხორბალს, რაც აიძულებს მათ იყიდონ ფქვილის მთელი რაოდენობა თავისუფალ ბაზარზე.

დარბევა ბერლინში

ფაშისტების პროვოკაცია მუშათა მიმართ.

ბერლინი. 6 ნოემბ. 5 ნოემბრის წინა ღამით ბერლინში გრძელდებოდა მაღაზიების რბევა და დემონსტრაციები ფაშისტურ და ანტი-სემიტისტურ ლოზუნგებით. დარბეულია მაღაზიები ქუჩების მთელს სიგრძეზე, დემონსტრანტები აჩერებდენ გამვლელ-გამომვლელთ, სცემდენ ებრაელებს, ძარცვავდენ ავტომობილებში მიმავალ მოქალაქეებს.

ფაშისტური რაზმები და პატრულები ქუჩა-ქუჩა დადიან, დარბევისაკენ აქეზებენ მოქალაქეებს და პანიკას აძლიერებენ. დარბევის დროს ფაშისტები ემყარებიან უმუშევრებს, რომელთა რიცხვი ბერლინში 300 000 კაცს აღემატება. უმუშევრები დახმარების სახით იღებენ კვირაში მხოლოთ 20 მილიარდ მარკას,—ისიც დაგვიანებით. ისინი მშიერნი რჩებიან და დარბევის ყოველგვარი აგიტაცია ცხოველ გამოძახილს პოულობს მათ წრეში.

დარბევა გრძელდება.

ბერლინი. 7 ნოემბ. 6 ნოემბერს ბერლინში კიდევ გრძელდებოდა მაღაზიების დარბევა და გამვლელ მოქალაქეების ცემა. იმ რაიონებში, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობას ებრაელები წარმოადგენენ, პოლიციამ გაძლიერებულ რაზმებით მოახერხა წესრიგის დაცვა.

დარბევის გამო აკრძალულია ტევტონურ პარტიის სამი კრება.

ბანდიტებს აბრალებენ.

ლონდონი 6 ნოემბერი. ბერლინელი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ არეულობის დროს სერიოზულათ დაიჭრა რამოდენიმე ასი კაცი. დარბეულია ათასზე მეტი მაღაზია. ბრბოები შედიოდენ რესტორანებში და სცემდენ მოსადილეებს. ბერლინის დასავლეთ რაიონში უმუშევრები სცემდენ კარგათ ჩაცმულ პირებს. ბურჟუაზია და უცხოელები მრავლათ სტოვებენ ქალაქს.

6 ნოემბერს საღამოს ბერლინის ჩრდილოეთ ნაწილის ქუჩები დაკავებული იყო პოლიციელთა პატრულებით, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ თოფებით და ყუმბარებით. 5 ნოემბერს არეულობას უმთავრესათ ანტი-სემიტისტური ხასიათი ჰქონდა. 6 ნოემბერს არბევდენ მაღაზიებს და აგრეთვე ქრისტიან მოქალაქეებსაც. პოლიციის განცხადებით, არეულობაში მთავარ როლს თამაშობდენ არა უმუშევრები, არამედ ორგანიზაციულათ დარაზმული ბანდიტები, რომლებიც თავდაპირველათ არბევდენ მაღაზიებს, ყველა მაღაზიები დაკეტილია ფოლადის ბადეებით.

სეპარატისტული მოძრაობა

პფალცის ავტონომიის გამოცხადება.

პარიზი. 8 ნოემბ. სეპარატისტების რაზმი დორტენის მეთაურობით შევიდა პფალცში. გამოცხადებულია პფალცის ავტონომია დამოუკიდებელ რეინის რესპუბლიკის საზღვრებში. რეინის რესპუბლიკის გენერალურ კომისრათ პფალცში დაინიშნა პფალცის აგრარიების კავშირის თავმჯდომარე გეინცი.

საკონტრიბუციო საკითხის გარშემო

ამერიკა და ექსპერტთა კონფერენცია.

ბერლინი 8 ნოემბერი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ოფიციალურ ცნობაში აღნიშნავს, რომ ინგლისმა, იტალიამ და ბელგიამ მიიღეს სენატორ სიუზის საკონტრიბუციო გეგმა, ხოლო საფრანგეთი განაგრძობს საფრანგეთის ვალის წინასწარ შემცირების მოთხოვნას. ეს პირობა, ნათქვამია ცნობაში, არ არის მისაღები ამერიკისათვის.

გერმანიის ამბების გამოძახილი

ბრძოლა კიდევ უფრო სასტიკი იქნება.

პარიზი. 6 ნოემბერი. გერმანიის მდგომარეობას საფრანგეთის პრესა აფასებს, როგორც მემარჯვენე პარტიების გამარჯვებას და სოციალ-დემოკრატიის კრახს. ფიქრობენ, რომ მუშათა მასები ზურგს შეაქცევენ სოციალ დემოკრატიას და მიემხრობიან კომუნისტებს. პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დღეიდან კიდევ უფრო სასტიკი იქნება პროლეტარიატის ბრძოლა მემამულეებთან და კაპიტალისტებთან, რომლებიც ყოველივე ძალღონით სცდილობენ გადაიტანონ რეპარაციების მთელი სიმძიმე გერმანიის მუშათა კლასზე.

საპროტესტო დემონსტრაცია პუანკარეს და ომის წინააღმდეგ.

პარიზი. 6 ნოემბერი. ნევერიდან პუანკარეს გამგზავრების შემდეგ მუშებმა მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ადგილობრივი გარნიზონის ჯარისკაცებმა.

გაორკეცებული ბრძოლა რევოლიუციის გამარჯვებისათვის.

პარიზი. 6 ნოემბერი. საფრანგეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აუცილებლათ სცნობს გაორკეცებულ ბრძოლას რევოლიუციის გამარჯვებისათვის.

ამხ. ვოროვსკის მკვლელის პროცესი

ბურჟუაზიული სასამართლო მკვლელს ესარჩლება.

ლოზანა. 6 ნოემ. ორშაბათს სასამართლოში დაიწყო ვოროვსკის მკვლელის კონრადის საქმის გარჩევა. დამნაშავის დამცველებმა კონფლიქტი გამოიგონეს, რათა დამნაშავისათვის ხელშემწყობი ატმოსფერა შეექმნათ. კონრადის დამცველმა შოპფერმა მოითხოვა საბუთებით დამტკიცება იმისი, რომ ვოროვსკის მეუღლე ნამდვილად მისი კანონიერი მეუღლეა და მისი ასული—ნამდვილად მისი ღვიძლი შვილია. სამოქალაქო მომჩივანმა განაცხადა, რომ შეუწყნარებელია ასეთი მოთხოვნილების წამოყენება, ხოლო ბრალმდებელმა განაცხადა, რომ ასეთი მოთხოვნილება არ შეეფერება სასამართლოს ღირსებას. ამის შემდეგ სასამართლომ უარი უთხრა ასეთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. შემდეგ შოპფერმა ბრალი დასდო სამოქალაქო მომჩივანს დიუკერს წინასწარი გამოძიების საიდუმლო მასალების გამომჟღავნებაში. დიუკერმა დაუმტკიცა, რომ შვეიცარიის მთავრობამ თითონვე გამოამჟღავნა ეს დოკუმენტები. შოპფერმა და პოლუნინის დამცველმა აუბერმა განაცხადეს, ვითომც საბჭოთა მთავრობა რეპრესიებით ემუქრებოდეს მათ, უკეთუ მკვლელს გაამართლებენ. სამოქალაქო მომჩივანმა ჩლენოვმა ხაზგასმით აღნიშნა ასეთი განცხადების უაზრობა და სიცრუე და განაცხადა, რომ არავის არა აქვს უფლება რეპრესიებზე ლაპარაკისა სასამართლოს პროცესის შემდეგ. თავმჯდომარემ წესიერებისაკენ მოუწოდა შოპფერს და წინასწარი გაფრთხილება მისცა.

გაფიცვების ტალღა პოლონეთში

მუშები ემხრობიან კომუნისტებს.

ვარშავა. 7 ნოემბერი. მიტინგზე, რომელიც მოწყობილი იყო პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტის შენობის ეზოში, 50 000 მუშების თანადასწრებით, ორატორები ლაპარაკობდენ 5 ტრიბუნიდან. კომუნისტურ დეპუტატს კრულიკოვსკის დიდის ენტუზიაზმით შეხვდენ.

გაფიცვა მოედო მთელს ქვეყანას.

ვარშავა. 6 ნოემბ. ვილნაში და და ლვოვში საერთო გაფიცვა წარმატებით მიმდინარეობს. მუშები შიშობენ, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტია ჩაშლის საერთო გაფიცვას, რომელიც მოწყობილია მისი სურვილის წინააღმდეგ. მღელვარება გაძლიერდა მის შემდეგ, როდესაც გამოირკვა, რომ პოლონეთის სოციალისტურ პარტიასა და კორფანტის შორის განახლდა ჩუმი მოლაპარაკება. შედგა მუშათა ორგანიზაციების რამოდენიმე მასიური მიტინგი და მრავალრიცხოვანი კრებები.

ბორისლავში და ტარნოვში

ვარშავა. 7 ნოემბერი. ბორისლავში მოკლულია 2 მუშა, დაჭრილია 13, ტარნოვში მუშებმა იარაღი აყარეს პოლიციას.

სხვადასხვა

შვეიცარია

ვოროვსკის მკვლელის გასამართლება.

პარიზი. 7 ნოემბ. ლონდონიდან იუწყებიან, რომ ვოროვსკის მკვლელმა კონრადიმ განაცხადა სასამართლოში, რომ მას განზრახული ჰქონდა მხოლოდ ვოროვსკის მოკვლა.

ოსმალეთი

ახალი რესპუბლიკის გამოცხადების გამო.

ანგორა. 4 ნოემბ. რესპუბლიკის გამოცხადება დიდის ზეიმით იდღესასწაულეს პროვინციებში და სტამბოლში.

პოლონეთი.

არეულობა კრაკოვში.

ბერლინი. 8 ნოემბერი. ვარშავიდან მიღებულ ცნობების თანახმად კრაკოვში მომხდარ უკანასკნელ არეულობის დროს, მოკლულია 25 კაცი, მძიმედ დაჭრილია 39 კაცი, მსუბუქად—29 კაცი.

არეულობის გამო, სამოქალაქო ძალა-უფლება გადაეცა (დამახინჯებულია)... მინისტრის ამხანაგს... ონეჟინსკის, სამხედრო—გენერალ ქელიგანის.

აფეთქება პოლონეთის სოციალისტურ პარტიის შენობაში.

ბერლინი. 8 ნოემბ. პოლონეთის სოციალისტურ პარტიის შენობაში გადააგდეს ბომბი, დაინგრა სხდომის დარბაზი და დერეფანი.

ინგლისი

მოკავშირეები კონტრიბუციას მოითხოვენ ბულგარეთისაგან.

ლონდონი. 3 ნოემბ. მოკავშირეთა საკონტრიბუციო კომისია მოითხოვს ბულგარეთისაგან 130 მილ. ფრანკის გადახდას კონტრიბუციის სახით.

უნგრეთი

უმუშევრობა იზრდება.

ვენა. 3 ნოემბერი. უნგრეთში მძიმე ეკონომიურ მდგომარეობის გამო, ბევრი წვრილი მრეწველობა ამცირებს წარმოებას. უმუშევართა რიცხვი დღითი დღე იზრდება. სექტემბრის გასულს პროფკავშირთა დახმარებით სარგებლობდა 10,000 უმუშევარი, ოქტომბრის დასაწყისში კი—13,000.

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული

7 ნოემბრის დღესასწაული თბილისში

რამდენადაც ვშორდებით 17 წლის ოქტომბერს, იმდენად უფრო ცხადი და მისაწვდომი ხდება ფართე მასებისათვის ამ დღის უდიდესი მნიშვნელობა და სიდიადე.

უკანასკნელი დღესასწაული და ზეიმი მოწმეა მისი, რომ 25 ოქტომბერი არის აღდგომა მუშათა ხალხისა და მისი საგაზაფხულოთ შებრუნება.

მშრომელი ხალხი გულწრფელი გატაცებით ემზადება დღესასწაულის შესახვედრათ და მოელის ამ დღეს, როგორც თავისი მუშაობის და ბრძოლის ნაყოფის საზეიმო დაგვირგვინებას.

მუშა-ხალხის ეს საგაზაფხულო სულიერი განწყობილება ატმოსფერულად მოქმედებს საზოგადოების სხვა წრეებზე და ჩვენ თვალწინ იშლება საყოველთაო დღესასწაულის მრავალფეროვნება და ფრთა გაშლილი სანახაობა, სადაც ადამიანების სახით ქუჩებზე დადიან სიხარული, ძმური სიყვარული, სილამაზე და პოეზია.

ამ დღეს ყოველი მშრომელი ივიწყებს წარსულ ბრძოლაში გამოცდილს სიმწარეს და ტანჯვას, მის გულს ავსებს თავის ძლიერების შეგნება, რომელიც მის ნებისყოფას აორკეცებს და ამ დროს იგი, სიხარულით აღტაცებული, მზად არის ყველა დამნაშავეს აპატიოს თავისი დანაშაული.

ამ დღეს ქუჩები, მოედნები, სახლები და ყოველი საგანი ცოცხალ არსებათ გადაქცეულა და მზრუნველი ხელით საზეიმოთ აფერადებული მოძრაობს, მღერის და ბრწყინვალედ იცინის. თუ 17 წლის ოქტომბრის წინა დღე პეტროგრადში იყო ძალების უკანასკნელი დაჭიმვა „ბატონების" შესამუსრავად, შემდეგი წლების ოქტომბრის წინა დღე ყოველი მშრომელისა და მებრძოლისათვის არის დღეს თავის ნამუშევრის და ბრძოლით მიღწეული შედეგების ანგარიშის ჩაბარებისა.

ოქტომბრის წინა დღის საღამო არა ნაკლებ სასიყვარულო და მიმზიდველია ოქტომბრის ზეიმზე: ყველგან მზადება, ყველგან ფუსფუსი და დაუღალავი მუშაობა.

ყოველ უბანში მრავალრიცხოვანი კრებები, სადაც მომხსენებლებად გამოდიან მხნე და დაუღალავი მებრძოლი ამხანაგები, რომელთაც თავიანთი მარჯვენით და ფოლადისებური გამძლეობით გამოსჭედეს ოქტომბრის გამარჯვება.

ისინი იგონებენ გადახდილ ბრძოლებს, ძმური მწუხარებით და ტრაურით იხსენიებენ ბრძოლაში დაცემულ გმირებს, რომელთაც სწამდათ ოქტომბერი, როგორც აუცილებელი გამარჯვება და დღესასწაული.

ისინი მოუთხრობენ მსმენელთ ოქტომბრის შემდეგ წლებზე, რომელთაც არა ერთი განსაცდელი დაატეხეს თავზე ოქტომბრით მოპოვებულ გამარჯვებას.

მომხსენებელნი მოუგონებლად არ სტოვებენ მტრებსაც, რომელთაც მიიზღეს სამაგიერო.

უკანასკნელად ყოველი მომხსენებელი გულის ფანცქალით ეხება გერმანიის უკანასკნელ ამბებს, რომლის მსვლელობაზეც დამოკიდებულია ოქტომბრის საბოლოო გამარჯვება და დღესასწაული.

ყოველი მომხსენებელი ურყევია იმ მხრივ, რომ სჯერა, რომ ოქტომბერი არ დამარცხდება, იგი გაიზრდება და საერთაშორისო ოქტომბრის ფერხულში ჩაითრევს მთელ კაცობრიობას.

ამავ რწმენით დაჯილდოვებული სტოვებენ დარბაზს მსმენელები.

25 ოქტომბერი—დღე ულრუბელი, მზიანი, აწითლებული ქუჩები და ქუჩებზე მოზეიმე ხალხის ამდინარებული ტალღები. მუსიკა ჰანგები, მუდამ დაუსრულებელი და მოუწყინარი სიმღერები, რომლებთანაც არა ერთი მშვენიერი მოგონება არის დაკავშირებული.

პლაკატები ბრძოლის სიტყვებით და ვეჟკაცური მოწოდებით, დროშები ძვირფასი სახეებით და მრავალ მნიშვნელოვანი ემბლემებით.

ეს დღესასწაული იტევს ფაშიზმის დამარცხებას. ყველა ასე ფიქრობს გულში.

სასიხარულოთ იყურებიან დროშებში მორთული, მუშათა სასახლე და ცეკას შენობა. ყველა გრძნობს ამ სიხარულს.

ამას ამბობენ სახეები მუშების, ავტომობილები დატვირთული ბავშვებით და მუშათა ოჯახებით; სიხარულის ძახილით მოქრიან.

პირველი გადმოხედვა 25 ოქტომბერის, ეს იყო დროშების გამოჩენა ქუჩებში.

წითელი ჯარი გამოჩნდა ქუჩებში—ყველაზე კარგად მათ იციან ამ დღესასწაულის ფასი. მათ, რომელთაც თავიანთი სისხლით შეღებეს დროშა კომუნისტური რევოლიუციის

დღეს ფაშისტები მოდიან ბერლინზე—ამბობს ერთი წითელ-არმიელი.

ვნახოთ ვისი იქნება დღევანდელი დღესასწაული, ამბობს მეორე, და ეს სიტყვები არის ნათქვამი ისეთი დაჯერებით, რომ გწამს გამარჯვება რევოლიუციის და სიხარულს გრძნობ უჩვეულოს.

წითელ-არმიელებს უკან მოჰყვებიან რიგები მუშა-მოსამსახურეების, ისინიც, ხომ დარწმუნდენ საბოლოოთ რევოლიუციის გამარჯვებაში, ამიტომ არის, რომ მათ სახეზე ვერ დაინახავ შიშს მომავლის წინაშე. მოწაფეთა რიგები ავსებენ ქუჩას. მოდიან მუსიკით. ქუჩას ავსებს ყოველმხრივ მოზღვავებული ხალხი. იშვიათია ასეთი დღესასწაული; რომელი მუშა არ იღებს ამ დღესასწაულში მონაწილეობას.

აი განაპირა უბნების მუშები. ზურნა მიუძღვით წინ და დროშა, რომელიც 12 წელი ათასცხრაას ხუთი წლიდან ელოდა ამ დღის ამინათებას, მათაც უხარიათ ეს დღესასწაული, ისინი მიეშურებიან დიდუბეში; რამდენიმე ათეული ათასი ქალი და კაცი იყრის თავს დიდუბეში, იღებენ პარადს. ირგვლივ ლაპარაკია ფაშისტების უსინდისო საქციელზე.

ქალაქის მთავარ ქუჩებში დაჰქრიან ავტომობილები, გახვეულნი წითელ ფერში და ნაძვების ტოტებში, რუსთაველის პროსპექტზე ამოიარა მთელმა ასეულმა მოტოციკლეტებისა და ველოსიპედებისამ. უკვე გვიანი საღამოა და ხალხი არ იშლება ყველგან თეატრებში საუკეთესო სანახაობების და მომღერლების მონაწილეობით მიდის სპექტაკლი. სპექტაკლები უფასოთ იმართება მუშებისათვის.

— სიხარული.

ეს არის საერთო შთაბეჭდილება ქუჩისაგან.

ასევეა ყველგან, მუშები ბრუნდებიან სახლში და ყველას ახსოვს ერთი ლოზუნგი.

„ჩვენ გავიარეთ მხოლოდ ექვსი წელი, ჩვენ წინ არის საუკუნეები".

ოქტომბრის ზეიმობა აჭარისტანში

ბათომი 7 ნოემბერი. 6 ნოემბერს საღამოს საზეიმო სხდომა გაიმართა, ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის გამო. კრებაზე დამსწრე აჭარის ქალთა განყოფილების წარმომადგენლებმა ჩადრები მოიხსნეს. სხდომის შემდეგ მოეწყო ინსცენირება „განთიადის შესაგებებლად", რომელიც კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირის წევრებმა შეასრულეს.

7 ნოემბ. დილით—ბრწყინვალი მზიანი დღე დადგა. ქუჩები შემკულია დროშებით, მწვანეულობით, რევოლიუციის ბელადთა სურათებით, ხალიჩებით, პლაკატებით და ყვავილებით ხალხის ლიანგი დღესასწაულობს ოქტომბრის რევოლიუციას. ჯარი, მუშათა ორგანიზაციები, აჭარის სოფლის მოსახლეობის წარმომადგენელნი, მოწაფეები, თავშესაფარის ბავშვები, სასპორტო ჯგუფები ერთი მეორესა სცვლიან. მრავალრიცხოვან ორკესტრთა მუსიკა გაისმის, ქრიამული, ცხოველმყოფელი აღტაცება რევოლიუციონურ აღფრთოვანებას იწვევს. სულისკვეთება აწეულია, მხნე და რწმენით ელსავსე, რომ შრომის ლაშქარი საბოლოოდ გაიმარჯვებს.

პარადს დაესწრო მრავალი ათასი კაცი. ორატორები რამოდენიმე ენაზე ლაპარაკობენ. საციხოვნო არტილერიამ საზეიმოდ 15 ჯერ დასცალა ზარბაზნები. ჯარმა, ორგანიზაციებმა და მოწაფეებმა მუსიკით ჩამოიარეს ქუჩებში. გაიმართა სასპორტო შეჯიბრებანი, თამაში და ზღვაზე ნავებით სრიალი. საღამოზე ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. გაიმართა დიდებული კარნავალი, შრომისა და კაპიტალის ალეგორიული სანახაობით. თეატრები და სხვა სანახაობანი უფასო იყო ჯარისა და ხალხისათვის. ზღვის პირად, ბულვარზე გაიმართა სეირნობა. უშვეს შუშხუნები. მთელი დღის განმავლობაში შემოწირულება გროვდებოდა გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ.

საუკეთესო საჩუქარი

ს. კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა ოზურგეთიდან შემდეგი დეპეშა მიიღო

„ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავზე კომუნისტური აღმშენებლობა უძღვნის მშრომელ ხალხს ოზურგეთის რკინის გზას, რომელიც აგებულია მხოლოდ და მხოლოდ გურიის მუშებისა და გლეხების მიერ და გითვლით მხურვალე კომუნისტურ სალამს."

პარტიული კომიტეტის მდივანი მგალობლიშვილი.

აღმასკომის თავმჯდომარე დოლიძე.

განსაკუთრებული რწმუნებული ხარჯველაძე.

სამუშაოთა უფროსი კაციტაძე.

მისალმება

ადგილობრივი ტრანსპორტის სრულიად საქართველოს ყრილობა ესალმება ს. კ. პ. ც. კ, საქართვ. მშრომელთა ხელმძღვანელს, და ფიცს სდებს, რომ მიმდინარე საპასუხისმგებლო მომენტში, ჩვენ, ტრანსპორტის მუშაკები, თქვენთან მტკიცე კავშირით და თქვენი იდეური ხელმძღვანელობით ავაშენებთ ძლიერ ტრანსპორტს, რომელიც ასე საჭიროა საბჭოთა ქვეყნებისათვის და თქვენი პირველი დაძახებისთანავე ყველა მუშებთან ერთად გამოვალთ დაჩაგრული მუშებისა და გლეხების ინტერესების დასაცავად.

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს კომინტერნს!

გაუმარჯოს მშრომელთა სოლიდარობას!

ყრილობის პრეზიდიუმი.

ოქტომბრის ზეიმობა რუსეთში

„მოსკოვი-ვარშავა-ბერლინი".

მოსკოვი. 7 ნოემბ. ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავზე გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო მილიონზე მეტმა კაცმა. ბევრი ფაბრიკები და ქარხნები გამოვიდენ ლოზუნგით: „მოსკოვი-ვარშავა-ბერლინი".

ჩვენ ღირსეულ პასუხს გავსცემთ.

ამხ. კამენევი.

წითელ მოედანზე გამართულ აღლუმზე სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კამენევმა სთქვა „ჩვენი გულისყური, გრძნობა და გონება მიმართულია იქით, სადაც იღვრება გერმანელ მუშების სისხლი. ჩვენთვის საჭიროა მშვიდობიანობა, მაგრამ თუ თეთრგვარდიელები ხელახლა შეეცადენ ისარგებლონ მსოფლიო ამბებით ჩვენი მყუდროების დასარღვევად, დეე იცოდენ, რომ ჩვენ ღირსეულ პასუხს გავსცემთ მათ. თუ ეს საფრთხე ჩვენ აგვცილდა, რაც ჩვენთვის ესოდენ საჭიროა, მე 7 წელსაც ჩვენ შევსწირავთ იმ მუშაობას, ჩვენი ქვეყნის ძლიერების გასამტკიცებლად, რომელსაც შევსწირეთ 2 წელიწადი.

გამარჯვება ახლოს არის

ამხ. კოლაროვი

ამხ. კოლაროვმა სთქვა: „ჩვენი ბრძოლის მიმდინარე პერიოდში პროლეტარიატის გამარჯვება უფრო ახლოს არის, ვიდრე ეს ჩვენ მტრებს ჰგონიათ.

კომინტერნი ღრმად არის დარწმუნებული, რომ გადამწყვეტ მომენტში, როცა მსოფლიოს იმპერიალიზმი დაიწყებს შემოტევას ამოძრავებულ პროლეტარიატის წინააღმდეგ, რუსეთის მუშები და გლეხები დაიჭერენ თავის ადგილს ამ ბრძოლაში".

ანგარიშის გასწორების დღე შორს აღარ არის.

კლარა ცეტკინა.

კლარა ცეტკინამ აღნიშნა: „გერმანიის პროლეტარიატის და ბურჟუაზიის შორის ანგარიშის გასწორების დღე ახლოს არის. ჩქარა გერმანიის პროლეტარიატს ეყოლება საკუთარი წითელი არმია, რომელიც უფსკრულში გადასჩეხავს ბურჟუაზიას".

დიპლომატ. კორპუსის მილოცვა.

მოსკოვი. 7 ნოემბ. ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის გამო, დიპლომატიურმა კორპუსმა მიულოცა ამხ. ჩიჩერინს დღესასწაული.

რიაზანის მუშების მილოცვა.

რიაზანი. 7 ნოემბ. საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭომ 50.000 მუშის სახელით მიულოცა საგუბერნიო კომიტეტს და სრულიად რუსეთის ცაკის ოქტომბრის 6 წლის თავი და მიესალმა კომპარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას.

ოქტომბერი არის მუშების და გლეხების საერთო დღესასწაული.

არხანგელსკი 7 ნოემბ. მთელი რიგი მუშათა დელეგატებისა გაემგზავრენ ქალაქიდან სოფელში გლეხებთან ერთად ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის დღესასწაულის გასამართავად. გლეხებმა თავის მხრივ გაგზავნეს დელეგაციები ქალაქში.

მოსკოვის საბჭოს პლენუმის საზეიმო სხდომა

მოსკოვი. 7 ნოემბერი. მოსკოვის საბჭოს პლენუმის საზეიმო სხდომა მოწვეული იყო ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის აღსანიშნავად. დაესწრენ რუსეთში ჩამოსული საფრანგეთის კოოპერაციის წარმომადგენლები, მათ შორის შარლ ჟიდი.

ჩვენ არავის ნებას არ მივსცემთ მონებათ გაგვხადოს.

ამხ. კამენევი.

ამხ. კამენევი ამბობს: „6 წლის განმავლობაში მუშათა კლასს ხელთ უპყრია ძალაუფლება და ძლევამოსილად იცავს მას მსოფლიოს ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნების წინააღმდეგ. დღეს წითელი დედა-ქალაქის-მოსკოვის საბჭომ უნდა განაცხადოს, რომ ჩვენთვის არაფერი ისე არ არის საჭირო, როგორც მშვიდობიანობა. ამასთანავე ერთად ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ კავშირის 130 მილიონიანი მცხოვრებნი არავის, არასოდეს ნებას არ მისცემენ ხელი შეახონ მის დამოუკიდებლობას, და ხელი შეუშალონ მათ ლტოლვას თავისუფალი ცხოვრების მოწყობისაკენ".

საერთაშორისო რევოლიუციის პირველი ეტაპი.

ამხ. ბუხარინი.

ამხ. ბუხარინმა განაცხადა: „ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით, რომ ჩვენი რევოლიუცია გამოიწვევს მთელ რიგ სხვა აფეთქებებს და რომ იგი იქნება საერთაშორისო რევოლიუციის პირველი ეტაპი, რასაც თვალსაჩინოთ ადასტურებს გერმანიის ამბები. ჩვენი ამოცანა გერმანიაში—განადგურება მემარცხენე სოციალდემოკრატიის — რომელიც არის ობიექტიურად უფრო საშიში მტერი, ვიდრე გერმანიის სოციალ-დემოკრატიის უმრავლესობა. როდესაც ეს ამოცანა გადაწყვეტილი იქნება, დადგება მომენტი გერმანიაში მთელი მუშათა კლასის გადამწყვეტი გამოსვლისა. რუსეთის მუშათა კლასი და ჩვენი კომუნისტური პარტია უმოქმედოთ არ გაჩერდებიან ამ ამბებში, რომელიც შესაძლოა თავს დაგვატყდეს ჩვენ, იმიტომ, რომ ჩვენი პარტია არის—მუშათა კლასის პარტია. რუსეთის მუშათა კლასი არის დიდი ოქტომბრის რევოლიუციის პირმშო შვილი".

ჩვენ მზად ვართ საბრძოლველად

ესალმება რა საბჭოს ბალტიის ფლოტის სახელით კრეისერ „ავრორა"-ს დელეგატი ამხ. ფედოროვი, რომელმაც 1917 წლის 25 ოქტომბერს გადასწყვიტა დროებითი მთავრობის ბედი, აცხადებს: „ჩვენ გვესმის დღევანდელი მდგომარეობის აზრი და ვაცხადებთ, რომ მზად ვართ საბრძოლველად".

მიღებულ რეზოლიუციაში მოსკოვის საბჭო ესალმება ს. ს. რ. კავშირის მშრომელებს, წითელ არმიას, წითელ ფლოტს, ამხ. ლენინს და გამოსთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა კავშირის აღმშენებლობა გამარჯვებით დამთავრდება, ურყევი დარჩება მუშათა და გლეხთა კავშირი, რომელიც უკუაგდებს მტრების ცდას დაარღვიონ ს. ს. რ. კავშირის მშვიდობიანი შრომა და თავის მოვალეობათ სთვლის ყოველგვარი დახმარება გაუწიოს გერმანიის მოძმე პროლეტარიატს.

უკრაინის ცაკის მოწოდება

ხარკოვი. 7 ნოემბერი. სრულიად უკრაინის ცაკის პრეზიდიუმმა, ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავზე მიმართა საბჭოთა უკრაინის მშრომელებს მოწოდებით უკრაინულ ენაზე, რომელშიაც აღნიშნულია, რომ გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლა იპყრობს ს. ს. რ. კავშირის ყველა მშრომელთა ყურადღებას. გერმანიის პროლეტარიატის დამარცხება იქნებოდა მუქარა საბჭოთა რესპუბლიკების მშვიდობიანი ცხოვრებისათვის. ერთხელ კიდევ ადასტურებს რა საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო პოლიტიკას, სრულიად უკრაინის ცაკი მოუწოდებს მუშებს და გლეხებს დაიცვან მშვიდობიანი შრომა და საბჭოთა უკრაინის დამოუკიდებლობა ბურჟუაზიის თავდასხმისაგან. მოწოდება აღნიშნავს უკრაინის მრეწველობის შეუჩერებელ ზრდას, მუშების და გლეხების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას და მოუწოდებს უკანასკნელებს არ დაერიდონ მსხვერპლის გაღებას სახალხო მეურნეობის ასაღორძინებლად.

ჩვენ გავიმარჯვეთ

მარქსიზმის სისწორის თვალსაჩინო დადასტურება.

ლონდონი. 7 ნოემბ. ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის შესრულების გამო, „უორკერს პარტის" მდივანმა განაცხადა: „50 წლის განმავლობაში რუსეთის რევოლიუციამდე მუშა მარქსისტებს ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში სწამდათ პროლეტარიატის გამარჯვება. ეხლა კი ის, რასაც მარქსი სწერდა კაპიტალიზმის და პროლეტარულ რევოლიუციის შესახებ, უკვე აღარ არის თეორია, არამედ ფაქტია. პროლეტარული რევოლიუცია, რომელმაც 6 წლიწადი გაძლო მთელი კაპიტალისტური მსოფლიოს წინაშე, არის მარქსიზმის სისწორის თვალსაჩინო დადასტურება".

ზეიმობა აზერბეიჯანში

ბაქოს საბჭოს პირველი პლენუმი

ბაქო. 7 ნოემბ. ოქტომბრის რევოლიუციის, 6 წლის თავი აღნიშნა ბაქოს ახლად არჩეული საბჭოს საზეიმო პლენუმით, ბაქოსა და მისი რაიონების პროლეტარულ ორგანიზაციების თანადასწრებით. სახელმწიფო თეატრის დიდი დარბაზი გაჭედილი იყო ბაქოს საბჭოს წევრებით, პარტიულ, პროფესიონალურ და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებით. ახლო-მახლო ქუჩები გაჭედილი ხალხით, იყო რომელიც თეატრში ველარ დატეულიყო.

ფართო მოხსენებებით ოქტომბრის რევოლიუციისა და გერმანიის ამბების შესახებ გამოვიდნენ: თურქულ ენაზე ამხ. ყარაევი და რუსულ ენაზე ამხ. კიროვი.

ამხ. კიროვის მოხსენება.

ამხ. კიროვმა აღნიშნა ჩვენი მიღწევანი სამეურნეო აღმშენებლობის დარგში და სხვათა შორის სთქვა: „თუ რამდენიმე თვის წინად ხალისიანად შევეგებეთ ბარისდალის კოოპერაციის წინადადებას ბაქოს ნავთიან ადგილებში ბურღვის წარმოების შესახებ, ამჟამად ეს იმდენად აღარ გვჭირდება. ბიბი-ეიბათის ნავთსაყუდმა მოგვცა 70,000 ფუთი მაზუთი. ნავთის ამოღების მაჩვენებელი მრუდე ხაზი გვიჩვენებს ციფრების შეუჩერებელ ზრდას. ამასვე ვაჩვენებთ დანარჩენ მრეწველობის დარგებშიაც. ხანგრძლივი მარცხისა და შეცდომების შემდეგ, ჩვენ უკვე მივაგენით სწორ გზას".

ბაქოს საბჭო გერმანიის პროლეტარიატს.

პლენუმმა მოისმინა მილოცვა მოსკოვის საბჭოს წევრის ამხ. გუროვისა, მოსკოვის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. პეტროვსკისა და ერთხმად დაადგინა: დაარსდეს განსაკუთრებული პურის ფონდი ბაქოს მუშებისა გერმანიის თანამოძმეთათვის და აგრეთვე ერთსულოვნად მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც სხვათა შორის, ნათქვამია: „ბაქოს საბჭო ითვალისწინებს რა საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურ მასებზე და რევოლიუციონურ გერმანიაზე მოვლენილ საფრთხეს, ასიათასიან პროლეტარიატის და მშრომელ ხალხის სახელით აცხადებს, რომ წითელი ბაქო, როგორც ყოველთვის, დღესაც მზად არის თავისი მკერდით შეეგებოს საერთაშორისო კონტრ რევოლიუციას".

სალამი ამხ. ლენინს.

არაჩვეულებრივის მღელვარებით და გაფაციცებით მოისმინა პლენუმმა ცნობები ამხ. ლენინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და დაადგინა შეუთვალოს მას თავისი უგულითადესი ნატვრა ჩქარი გაჯანსაღების შესახებ.

ოქტომბრის პარადი.

სხდომის შემდეგ ბაქოს საბჭომ დიდის ზეიმით მიიღო პარადი ბაქოს გარნიზონის ნაწილებისა.

განვლილი გზა

საუბარი ამხ. ჩიჩერინთან

მოსკოვი. 7 ნოემბერი. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა სთქვა: „ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავი შესრულდა იმ მომენტში, როდესაც ღრმათ შეირყა საერთაშორისო მდგომარეობა. გერმანიაში ხელისუფლებას უახლოვდებიან ის გენერლები, რომლებიც განუწყვეტლივ გაიძახოდენ, რომ დასავლეთის მთავარი მიზანია ჯვაროსნული ომი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

გასული 6 წლის განმავლობაში ჩვენ მივდიოდით ამხ. ლენინის მიერ ნაჩვენებ გზით. ყველაზე ძნელი იყო ჩვენი არსებობის პირველი პერიოდი, როდესაც საჭირო იყო კავშირის დამყარება სხვა სახელმწიფოების ეკონომიურ ინტერესებთან. 1918 წლის გაზაფხულზე ჩვენ უკვე შევიმუშავეთ დაწვრილებითი გეგმა, კონცესიების და სხვა საშუალებების გზით კაპიტალის მიზიდვის მიზნით. ეს გეგმა უკვე ეცნობა გერმანიის მთავრობას და მრეწველებს და გადაეცა მეგობრულათ განწყობილ ამერიკელებს, ამერიკის მმართველი და გავლენიანი წრეებისათვის გასაცნობათ. ამ გეგმების გადადება საჭირო შეიქნა, როდესაც ანტანტამ მიზნათ დაისახა გადაექცია თავის ახალშენათ საბჭოთა რესპუბლიკები, სამხედრო ინტერვენციის გზით.

ინტერვენციის განხორციელებამ კვლავ დასვა პირველ რიგში ეკონომიური ურთიერთობის დამყარება დასავლეთთან. 1920 წ. აშკარათ გამოირკვა განსხვავება ინგლისის და საფრანგეთის პოლიტიკას შორის. ინგლისში გაბატონებულია აქტიური კაპიტალი, რომელიც ამჯობინებს აკეთოს ახალი საქმეები და მიიღოს სარგებელი, ვინემ იყოს უმოქმედოთ და უცადოს ძველი ვალების გადახდას. საფრანგეთში კი ომის შემდეგ განვითარებული აქტიური კაპიტალი მეტ ინტერესს იჩენს წარსულისადმი, ვინემ აწმყოსადმი, მას პირველ რიგში დასმული აქვს ზრუნვა ძველ ვალებზე, ვინემ ახალ მოგებაზე. საფრანგეთში ეკონომიური კაპიტალის განვითარებამ და მისმა გავლენამ პოლიტიკაზე შესცვალა თვით საფრანგეთის პოლიტიკაც. დასასრულ, ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ერთ-ერთ უდიდეს ფაქტორათ იქცა ეკონომიური ურთიერთობის დამყარება ჩვენს რესპუბლიკებთან.

ჩვენთან ეკონომიური ურთიერთობის განახლების პირველ მომენტში კაპიტალისტური მსოფლიო ფიქრობდა, რომ ეს ნიშნავს უცხოეთის კაპიტალის ბატონობის დამყარებას საბჭოთა რესპუბლიკებში. ყველა ეკონომიურათ ძლიერი სახელმწიფოების კაპიტალისტურ ჯგუფებს განზრახული ჰქონდათ ერთი კონსორციუმის შედგენა საბჭოთა რუსეთისათვის დახმარების გაწევის მიზნით; გერმანია უნდა ყოფილიყო კონსორციუმის შუამავალი, რისთვისაც მას უნდა მისცემოდა მიღებული სარგებლის 50 პროცენტი, ხოლო მეორე ნაწილი უნდა მოხმარებოდა რეპარაციების დაფარვას. ჩვენ მათ ხელი არ გაუწოდეთ, როდესაც დადგა ეკონომიური იმედის გაცრუების ხანა.

მესამე ხანა დაიწყო მიმდინარე წლის მეორე ნახევარში, როდესაც ეკონომიური იმედის გაცრუება გამოცვლილ იქნა ისტორიული განვითარების შემდეგი მსვლელობის პროცესში. ეს მომენტი მეტადრე უკავშირდება გამოფენას, რომელსაც ეწვია შესანიშნავი კოლექცია ყველა ქვეყნის გავლენიან პირებისა. მაგრამ სწორედ ამ დროს, როდესაც იღვიძებს ეკონომიური ინტერესი საბჭოთა რესპუბლიკებისადმი ყველა დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებში, საერთაშორისო ჰორიზონტი კვლავ იბურება ახალი შემაძრწუნებელი ამბებით. ახალ საფრთხეების ხანაში შესვლის დროს ჩვენ დიდ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ ჩვენთვის და მეორე მხარისათვის ხელსაყრელ ეკონომიურ კავშირს. უკანასკნელს დიდი როლი უნდა ითამაშოს დაწყებული პერიოდის საფრთხეების შემცირებაში და ყოველგვარ მოულოდნელობათა შესაძლებლობის თავიდან აცილებაში".

საკავშირო ცაკის მესამე სესია

მოსკოვი, 7 ნოემბერი. 6 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში მთელი დიპლომატიური კორპუსის თანადასწრებით ბელორუსიის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ჩერვიაკოვმა გახსნა ს. ს. რ. კავშირის ცაკის მესამე სესია.

კრეისერ „ავრორას" რაპორტი.

კრეისერ „ავრორას" კომანდირი ამხ. პოლენოვი აძლევს რაპორტს თავის შეფს—სესიას. ამხ. პოლენოვი ამბობს: „კრეისერ „ავრორას" სამხედრო მეზღვაურები და საკომანდო შემადგენლობა გაამართლებენ იმ დიდ პატივს და ნდობას, რომელიც თქვენ მიანიჭეთ კრეისერის თქვენი შეფობის ქვეშ აყვანით: „ავრორას" მატროსი დამატებას უკეთებს ამხ. პოლენოვის სიტყვას. „ბალტიკის და კრეისერ „ავრორას" მეზღვაურები რესპუბლიკის პირველსავე დაძახებისთანავე და საკავშირო ცაკის პირველი დირექტივის მიხედვით მზად იქნებიან საბრძოლველად".

„ავრორას" წარმომადგენლებს უპასუხებს ამხ. ჩერვიაკოვი: „საბჭოთა ფლოტის მნიშვნელობა დიდმნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ ს. ს. ს. რ. კავშირი ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, საბჭოთა მთავრობა ყოველ ძალ-ღონეს იკრებს, რათა სამხედრო საქმის ყველა დარგებში მზად იყოს ჩვენი მტრების უეცარი თავდასხმის მოსაგერიებლად. ს. ს. რ. კავშირს უხდება მუშაობა ისეთ პირობებში, როცა გარეშემორტყმული ქვეყნები სცდილობენ დაარღვიონ მისი მშვიდობიანი მუშაობა. ამიტომ, ჩვენ, რომელთაც რევოლიუციის პირველსავე დღიდან წამოვაყენეთ ლოზუნგი „ომი ომის წინააღმდეგ", გვიხდება თავდაცვითი ღონისძიებათა განხორციელება. ამ ღონისძიებათა რიცხვში—სამხედრო ფლოტის შექმნა არის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანათაგანი".

დებულება საკავშირო ცაკის შესახებ

ამხ. ენუქიძის მოხსენება.

ამხ. ენუქიძე ადგენს დებულებას საკავშირო ცაკის შესახებ და აღნიშნავს, რომ საკავშირო კონსტიტუციის მიღების დღიდან განვლო მხოლოდ 4 თვემ, ხოლო კავშირის შექმნიდან—9 თვემ: ვადა მეტად უმნიშვნელოა იმისათვის, რომ სავსებით ჩამოვაყალიბოთ კონსტიტუცია და მისგან გამომდინარე დებულებები. მაგრამ ამ უმნიშვნელო ვადამ მოგვცა დიდძალი მასალა ცენტრალურ ორგანოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ყოველი ჯურის ეკონომისტები, განსაკუთრებით მენშევიკების და ესერების რიგებიდან, ირწმუნებიან, რომ თითქოს საბჭოთა რუსეთი საკავშირო რესპუბლიკებში ატარებს თავის კოლონიზატორულ პოლიტიკას. მაგრამ ის, ვინც ცოტაოდნად მაინც იცნობს კოლონიზატორობის პოლიტიკას, ჩვენში ვერ იპოვის კოლონიზატორულ პოლიტიკის ვერც ერთ ძირითად ელემენტს. მეტროპოლიის მიერ კოლონიების ექსპლოატაციის მაგიერ ჩვენში ადგილი აქვს საქონლის გაცვლა-გამოცვლას საბჭოთა რუსეთსა და საკავშირო რესპუბლიკებს შორის, რომელიც დამყარებულია საურთიერთო შეთანხმებაზე და სარგებლიანობაზე. საბჭოთა ხელისუფლება ერთნაირად არის დაინტერესებული მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის განვითარებით ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში. კავშირის ზოგიერთ ნაწილებს შორის მომხდარი იშვიათი უთანხმოებანი აიხსნება იმით, რომ კავშირი იმყოფება უდიდეს სამეურნეო აღმშენებლობის პერიოდში, როცა შეცდომები აუცილებელია. საბჭოების მახლობელი ყრილობა, აირჩევს ცაკს ყველა მისი ნაწილებით და ეროვნებათა საკავშირო საბჭოთი. მაშინ კავშირის ნაწილებს შორის ურთიერთობა სრულიად მოგვარებული იქნება და არავითარ არსებით გაუგებრობას ადგილი აღარ ექნება.

საკავშირო ცაკის დებულება განსაზღვრავს საკავშირო ცაკის წევრთა უფლება-მოვალეობებს და ჰქმნის მათ იმუნიტეტს. საკავშირო ცაკის წევრებს ენიჭებათ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ყველა დაწესებულებებში და ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლების ყველა ორგანოებში სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლებას. ცაკის წევრის პასუხისგებაში მიცემა, დაპატიმრება, გაჩხრეკა დასაშვებია მხოლოდ ცაკის პრეზიდიუმის ან უკიდურეს შემთხვევაში მისი წარმომადგენლის ნებართვით.

საკავშირო ცაკის დებულების გაშუქების შემდეგ ამხ. ენუქიძე აშუქებს საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს და კავშირის სახ. კომისარიატების დებულებას და დასკვნაში გამოსთქვამს რწმენას, რომ ამ დებულებების მიღების შემდეგ ს. ს. რ. კავშირი მიიღებს დიდ შემატებას თავის კანონმდებლობაში. ამხ. ენუქიძის ყველა წინადადებები დებულებათა შესახებ გადაეცა განსაკუთრებულ კომისიას დეტალურად განსახილველად.

ამხ. სკრიპკინი აშუქებს დებულებებს საერთო-საკავშირო გარეშე საქმეთა, სამხედრო საქმეთა, საგარეო ვაჭრობის, გზათა, ფოსტა-ტელეგრაფის, სახ. კომისარიატების შესახებ, რომელიც აგრეთვე კომისიას გადაეცა.

შემდეგი სხდომა დანიშნულია ხუთშაბათს, 8 ნოემბერს.

პარტიული ცხოვრება

ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, პარტიის ყველა წევრებს

ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური საკონტროლო კომისია მიაქცევენ პარტიის ყველა წევრების ყურადღებას უკანასკნელ ხანებში სისტემათ გადაქცეულს — კომუნისტების მიერ ცალკე პირებისათვის სხვადასხვა შემთხვევებში რეკომენდაციის მიცემაზე. არ მოიძებნება საქართველოში პარტიის არც ერთი წევრი, რომელსაც უჭირავს ცოტათ თუ ბევრათ მნიშვნელოვანი თანამდებობა, რომელიც არ აძლევდეს მოქალაქეებს მათ მიერ სამსახურის მოძებნის დროს და სხვ. სხვადასხვა სარეკომენდაციო წერილებს და ბარათებს.

აგრეთვე, ალბათ, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაში არ მოიძებნება არც ერთი მოსამსახურე, რომელსაც არ ჰქონდეს რეკომენდაცია პარტიის ორი ან სამი წევრისაგან. ძლიერ ხშირათ, დაუდევრობის გამო, რეკომენდაციები ეძლევა აშკარათ ანტისაბჭოთა ელემენტებს. ასეთ შემთხვევებშიც, კომუნისტები, რომლებმაც ხელი მოაწერეს სარეკომენდაციო წერილებს, ფაქტიურად პარტიის წინაშე არავითარ პასუხისმგებლობას არ ატარებენ, რადგან ისეთ პირობებში, როცა ყველა კომუნისტები ყველა საბჭოთა მოსამსახურეებს აძლევენ სარეკომენდაციო წერილებს, ბუნებრივად შეუძლებელი ხდება პარტიის წევრობისაგან ამის გამო პასუხისმგებლობის მოთხოვნა. ამას გარდა რეკომენდაციების სისტემა აღორძინებს პროტექციონიზმს უარეს ფორმებში და იწვევს იმას, რომ დაწესებულებები ივსება ხალხით, რომლებიც მოწვეული არიან კომუნისტებთან ნათესაობის, პირადი ნაცნობობის მიხედვით. რამდენათ უფრო გავლენიანია კომუნისტი, რომელიც ხელს აწერს სარეკომენდაციო წერილებს, მით უფრო მეტი ზიანი მოაქვს მას საქმისათვის, მით უფრო მეტ შესაძლებლობებს ქმნის შეცდომებისათვის, ხშირათ კი ბოროტ-მოქმედებებისათვისაც. ამავე დროს პარტიის შიგნით გაცემული იყო განკარგულება რეკომენდაციების მიცემის სრულიად შეწყვეტის შესახებ. იღებენ რა ყველა ამას მხედველობაში ს. კ. პ. ც. კ. და ც. ს. კ. ადასტურებენ რა ძველ ცირკულიარს № 57 ა. წ. 18 ივნისიდან, დამატებით ადგენენ:

1. პარტიის წევრების მიერ, რა თანამდებობაც არ უჭიროთ მათ, ცალკე მოქალაქეებისათვის მათი სამსახურში მისაღებათ მიცემული ყველა რეკომენდაციები გაუქმებულად ჩაითვალოს.

2. წინადადება მიეცეს პარტიის ყველა წევრებს, რომლებიც სათავეში უდგიან საბჭოთა, კოოპერატიულ და სხვა დაწესებულებებს, გააუქმონ ცალკე კომუნისტების რეკომენდაციებით სამსახურში მიღების სისტემა. სამსახურში მისაღებთაგან არ იქნას მოთხოვნილი არავითარი რეკომენდაციები კომუნისტებისაგან. მთელი პასუხისმგებლობა არსებულ კანონების მიხედვით მოსამსახურეთა მიწვევისათვის ეკისრება დაწესებულების მეთაურს.

3) კატეგორიულათ აეკრძალოს პარტიის ყველა წევრებს ცალკე პირებისათვის დაწესებულებების მეთაურების სახელზე ყოველგვარი სარეკომენდაციო წერილების და ბარათების მიცემა.

4) ანტისაბჭოთა პარტიების დატუსაღებულ წევრებისათვის თავდებობა კატეგორიულათ აკრძალული იქნეს.

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი:
ბ. ლომინაძე.
ც. ს. კ. თავმჯდომარე
შ. ლეჟავა.

ლენინის სახელობის ინსტიტუტი

როგორც ამხანაგ-მკითხველებს ეცოდინებათ მოსკოვში გაიხსნა ლენინის სახელობის ინსტიტუტი, რომლის მოწოდებაა გააცნოს ჩვენ ახალგაზრდობას კომინტერნისა და მსოფლიო რევოლიუციის ბელადის თეორია და პრაქტიკა, შეისწავლოს მისი ყოველმხრივ რთული სიცოცხლე, მისი მოღვაწეობა დეტალურათ. მაგრამ ამისთვის არ არის საკმაო მხოლოდ მისი ნაწერების (რომლებიც უკვე გამოსული არიან) და ნამოქმედარის შესწავლა. მისი ნააზრევის დასახასიათებლათ, ნამოქმედარის გასათვალისწინებლათ განუზომელი მნიშვნელობა აქვს იმ „კერძო“, „პირად“ კავშირებს, რომელიც მას ჰქონდა სხვადასხვა პირებთან, იმ მიწერ-მოწერას, რომელსაც ის აწარმოებდა რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში ამ პირებთან. ასეთი მასალების შეგროვება, რაც შეადგენს ინსტიტუტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას, შეუძლებელი იქნება, თუ ამაში მას არ დაეხმარენ ჩვენივე ამხანაგები, რომლებსაც საშუალება აქვთ, ამხ. ლენინთან პირადი ნაცნობობის და ასეთი დოკუმენტების მათ განკარგულებაში ყოფნის გამო, დაეხმარონ ინსტიტუტს.

ასეთი მუშაობის ჩასატარებლათ ინსტიტუტმა გაგზავნა ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ევროპაში ერთი ამხანაგი, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეეკრიბა სხვადასხვა პირთა ხელში იქ გაბნეული ამხანაგ ლენინის წერილები და საზოგადოთ ხელნაწერები. და მართლაც მან შეაგროვა დიდი რევოლიუციონურ ისტორიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები. მაგ. 34 წერილი, ამხ. ლენინის მიერ მიწერილი პ. მ. აქსელროდისთვის 1900—1902 წ. წ. ამხ. ლენინის მოხსენების (ბელოსტოკის კონფერენციაზე, 1902 წ) ორიგინალი გარდა ამისა „რ. ს. დ. მ. პარტიის ჩრდილოეთის კავშირის პროგრამა“ ამხ. ლენინის კრიტიკული მინაწერებით; ქვევით, ამხ. ლენინისვე ხელნაწერი ბროშიურა (ამ ხელნაწერიდან იყო ის პირველათ აწყობილი): „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ამოცანები“, წერილი პ. მ. აქსელროდისა პ. სტრუვესადმი (გადაწერილი ლენინის ხელით) ცნობილი „ისკრისა“ და „ოსვობოჟდენიეს“ ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ და სხვ. მთელი ეს მასალა წარმოადგენს ძვირფას განძს ინსტიტუტისთვის.

ჩვენი მკითხველები ხედავენ, თუ რა ხასიათის დოკუმენტებს აგროვებს ინსტიტუტი, რომელმაც მიმართა ამხ. ლენინის ყველა ამხანაგებსა და ნაცნობებს, საერთოდ ყველა მათ, ვისაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონიათ წარსულში მასთან—თხოვნით, გაგზავნონ ინსტიტუტში ამხ. ლენინის ყველა წერილები ან ხელნაწერები, რომლებიც მათ აქვთ. ინსტიტუტი წინადადებას იძლევა, იმ შემთხვევაში, თუ არ შეელევიან მთლათ ამ დოკუმენტებს, საშუალება მისცენ ინსტიტუტს გადაიღოს მათი ფოტოგრაფიული ასლი, რის შემდეგ დოკუმენტები დაუბრუნდებათ მესაკუთრეებს.

ამ მასალის შეგროვების მიზნით, ინსტიტუტმა დანიშნა სხვა და სხვა კუთხეებში და ქალაქებში თავისი კორესპონდენტები კერძოთ ჩვენში ასეთი კორესპონდენტია ამხ. კ. ორაგველიძე (კომპარტიის ცეკა, სააგიტ. საპროპ. განყოფილება).

ვინაიდან ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენშიც არიან ამხანაგები, რომლებსაც წარსულში მჭიდრო საქმიანი დამოკიდებულება ჰქონდათ ამხ. ლენინთან, ამიტომ საჭიროა, რომ მათ არ დააკავონ არც ერთი დოკუმენტი აღნიშნული ხასიათის და არა მარტო გაგზავნონ თვითონ ეს დოკუმენტები დანიშნულებისამებრ, არამედ ყოველი დახმარება აღმოუჩინონ ინსტიტუტსა და მის ადგილობრივ კორესპონდენტებს დასახული მიზნის მისაღწევათ.

ყველა რევოლიუციონერის მოვალეობაა ხელი შეუწყონ ინსტიტუტს ამ მუშაობაში.

ძველი რევოლიუციონერი.

ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა 1923 წლის სექტემბერში და ოქტომბერში

აღნიშნულ პერიოდის განმავლობაში სწარმოებდა ტფილისის ორგანიზაციის ყველა წევრების პოლიტიკურ ცოდნის გასინჯვა. ეს გასინჯვა გატარებული იყო დამკვრელი წესით და მას მოუნდა თითქმის თვენახევარი. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ შეიმუშავა კითხვა-პასუხის განსაკუთრებული ფურცლები, დაბეჭდა ის 3,500 ცალი (3,000 რუსულ ენაზე, 500 ც. ქართულ ენაზე) და გავრცელდა უჯრედების საშუალებით პარტიის წევრებს შორის; შემდეგ შედგენილი იყო ანკეტა, ცირკულიარული წერილი და განსაკუთრებული ბარათი, რომელიც არკვევდა გასინჯვის მიზანსა და ამოცანებს. გასინჯვის საწარმოებლათ მობილიზაციის წესით მოწვეულნი იყვენ ასამდე ამხანაგები და მუშაობის დაწყებამდე ისინი მოწვეულნი იყვნენ განსაკუთრებულ კრებაზე, რომელზედაც დაწვრილებით გარჩეული იყო გასინჯვის მიზანი, ამოცანები და უმთავრესათ მეთოდი.

თვით გასინჯვა სწარმოებდა რაიონების მიხედვით და მუშაობის მთელი ორგანიზაციული მხარე მოთავსებული იყო რაიონებში. ერთ-ერთ პარტიულ დღეს რაიონში იგზავნებოდა მობილიზაციის წესით მოწვეულ ამხანაგების ჯგუფი, მათ შორის იყო განაწილებული უჯრედები გასინჯვის საწარმოებლათ, ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მუშაკები კი სარაიონო საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებთან ერთად ჩამოუვლიდენ ხოლმე უჯრედებს და ადგილობრივ ეცნობოდენ იმას, თუ როგორ სწარმოებდა მუშაობა.

ეხლა, როდესაც გასინჯვა უკვე დამთავრებულია და მასალები თავმოყრილი, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მან ორგანიზაციას მისცა მეტათ ძვირფასი მასალა. ციფრები საკმაოთ მჭერმეტყველურათ ამტკიცებენ ამას, ისინი გვაძლევენ ტფილისის ორგანიზაციის პოლიტიკურ განვითარების დონის ნათელ სურათს: ორგანიზაციის წევრების ნახევარზე მეტი პოლიტიკურათ არ არის განვითარებული ან და ცოტათი განვითარებულია, მათ არ იციან მარქსიზმის საფუძვლები, არ იციან პარტიის არც პროგრამა და არც წესდება. ტფილისის კომიტეტმა უკვე გამოიტანა აუცილებელი დასკვნა და დაადგინა აიძულოს პარტიის ყველა წევრები, რომელნიც პოლიტიკურათ არ არიან განვითარებულნი, გაიარონ პოლიტიკური ცოდნის კურსი. ცალცალკე რაიონებში პოლიტიკურ ცოდნის გასინჯვის შედეგები გამოიხატება შემდეგში:

1-ლი რაიონი: პოლიტიკურ ცოდნის გასინჯვის კომისია გაიარა 657 პარტიულმა ამხანაგმა, ამათგან პირველ კატეგორიაში მოხვდენ (პოლიტიკურ ანბანის სრულიათ არ მცოდნენი)—355 ან 54 პროც, მეორე კატეგორიაში (მცირე მომზადება)—227, ან 34 პროც., მესამე კატეგორიაში (საშუალო მომზადება)—75 ან 12 პროც, მეოთხე კატეგორიაში (სავსებით მომზადებულნი) ითვლება ერთეულები.

მე 2 რაიონი: გამოცდილ იქნა 550; პირველ კატეგორიაში ჩაირიცხა 190 (34,5 პროც), მეორე კატეგორიაში—192 (35 პროც), მესამე კატეგორიაში—134 (24,5 პროც.), მეოთხე კატეგორიაში—34 (6 პროც.).

მე 3 რაიონი: გამოცდილი იქნა 300, რომელთა შორის პირველ კატეგორიაში ჩაირიცხა—95 (31 პროც), მეორე კატეგორიაში—123 (40 პრ), მესამე კატეგორიაში—72 (23 პრ.), მეოთხე კატეგორიაში—19 (6 პროც.)

ტფ. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ესხენი.

(დასასრული იქნება)

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(8 ნოემბერი).

ჩერვონცები — — —	100,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	92,000
ჩეკები —	87,500
დოლარები ეფექტ. —	22,500
ჩეკები	21.000
ოსმ. ქალ. ლირა	11.000
იტალიური ლირა	620
ფრანგული ფრანკი	930
საბჭ. ფულის ნიშნები	14

მუშკოოპის ფასები.

(6 ნოემბერი.)

პური 1 ხარ.—550 ათ., პური 2 ხარ.—450, ძროხის ხორცი—1350 მ. შაქარი რაფინადი 4.700 ათ., ფხვნილი შაქარი 3000 ათ., მაკარონი—1350 ათ., კარტოფილი—150 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხარ.—700-800, პური 2 ხარ.—500, ძროხის ხორცი—1500, ცხვრის ხორცი—1.800 ათ., შაქარი რაფინადი—4800, ფხვნილი შაქარი—3000-3200 მ., ბრინჯი ალდაშის—900, მაკარონი 1600, კარტოფილი—150-200.

ბირჟის მიწოდება.

ხორბალი 70 ვაგონი, ქერი 60 ვაგ. ლაგოდეხის თამბაქო (დაუჭრელი) 1 და 2 ხარ., ლურსმანი, ფხვნილი შაქარი რუს. და გოლანდიური, სალომასი, შაბიამანი, კანიფოლი, აბრეშუმი, ჩაი, იტალიური მანუფაქტურა, სკიპიდარი, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა. ასანთი რუს. საპონი, ცემენტი და ეტერნიტი, ოლიფას ზეთი, მზესუმზირას ზეთი, რკინეულობა, საკანდიტერო ყუბანის ფქვილი, ქვა მარილი ნახიჩევანის, ნარმა.

ბირჟის მოთხოვნილება.

ტყავის ღვედები, რკინის გასაყრელები, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, ყუბანის ფქვილი 1 ხარ., ფხვნილი შაქარი რუს. შაქარი რაფინადი რუს., ტეხნიკური ცხიმი, ლურსმანი, ჩაი, ასანთი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება დღეს უცვლელია.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

5 ნოემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 17 გარიგება. სულ 204779 ჩერვ. მან. თანხისა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცის კურსმა ცოტად აიწია. დანარჩენი ვალიუტა უცვლელია.

ახალი ფულის ნიშნები.

ახლო მომავალში განზრახულია შემოღება ახალი ფულის ნიშნებისა, რომლებიც შესცვლიან 1923 წლის ფულის ნიშნებს. ეს ახალი ნიშნები გამოცემულ იქნებიან საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახელით და მათ ექნებათ ბრუნვა მთელ კავშირის ტერიტორიაზე.

ტყავეულობის ტრესტში.

ტყავეულობის ტრესტის გამგეობის დადგენილებით პროვინციაში ნედლი ტყავეულობის შესყიდვის საქმეში მიწვეულ იქნებიან მონაწილეობის მისაღებად ადგილობრივი და სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციები.

ტყავეულობის გატანის აკრძალვა.

ყველა სატრანსპორტო დაწესებულებებს წინადადება მიეცა საქართვ. ს. მ. უ. საბჭოს ნებადაურთველად არ მიიღონ საქართველოდან გასატანი ტყავეულობა.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატში.

ვაჭრობა მედიკამენტებით.

საგარეო ვაჭრობის კომის. ინიციატივით 14 ნოემბერს ტფილისში მოხდება დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლების საგანგებო თათბირი, რომელიც გაარჩევს საკითხს ამიერ-კავკასიის მედიკამენტებით მომარაგების შესახებ.

განხილულ იქნება შემდეგი კერძო საკითხები: მედიკამენტების და საექიმო ხელსაწყოების ნომენკლატურა და რაოდენობა; საგანგებო ორგანოს შექმნა მედიკამენტების უშუალოდ შესყიდვისათვის; მედიკამენტებით ვაჭრობის ორგანიზაცია და სხ.

ქართლის მეხილეთა ყრილობა და ხეხილის გამოფენა გორში

4 ნოემბერს, ქალაქ გორში დიდი დღესასწაული იყო; აქ მოაწყვეს ხეხილის გამოფენა და გაიხსნა ქართლის მეხილეთა ყრილობა.

ამ დიდი საქმის თაოსნობა ეკუთვნის მიწათმოქმედების ადგილობრივ განყოფილებას და აღმასკომს, მიწათმოქმედების კომისარიატის დახმარებით.

წესრიგი ასე იყო შემუშავებული, რომ ჯერ უნდა გახსნილიყო გამოფენა და შემდეგ ყრილობა.

კვირას დილიდანვე გორს დიდი საქმიანობა ეტყობა: მისი მთავარი ფართო ქუჩა ხალხით ავსილია; მრავალი გლეხი მიეჩქარება ყუთებით და კალათებით ხეხილით საზაფხულო კლუბში. მოწმენდილ დღეს და უხვ მზის სხივებს ოდნავი ქარი აგრილებს, მაგრამ ხალხის ხალისიანი სახე არავითარ უამინდობას არ გრძნობს. მრავალი აგრონომები, სპეციალისტები, ინსტრუქტორები, ადგილობრივი და ტფილისიდან, იკრიბებიან მიწათმოქმედების განყოფილების ბინასთან; გლეხები მათ უკვირდებიან.

აი, აგრონომები ჩაერიენ ხალხში და ყოველ მათგანს ეინტერესება გლეხის ვინაობა.

— ამხანაგო, მონაწილეობას იღებ გამოფენაში? ეკითხებიან გლეხებს.

— დიახ, ათნაირი ვაშლის ჯიში ჩამოვიტანე.

— წელს ძალიან კარგი ხილი მოგვივიდა;

— აი, ყოველ წლივ რომ მოვაწყობდეთ ყრილობას და გამოფენას, ეს ჩვენ შეგნებას და ცოდნას მოგვცემს, დაკვირვებულათ ლაპარაკობს მრავალი გლეხი.

ნაშუადღევის ორი საათია. ზოგი შენობა მორთულია მწვანე გრეხილებით და დროშებით. აურებელი ხალხი იყრის თავს მიწათმოქმედების განყოფილების სადგომთან; იგრიალა მუსიკამ და ყველანი გაუდექით ბაღისაკენ საზაფხულო კლუბში, სადაც გამართულია ხეხილის გამოფენა.

კლუბი საუცხოვოთ არის მორთული; გარშემო არის ნიმუშები ნაყენი ხეების სხვა და სხვა გვარი ტანი და მოყვანილობა და აგრეთვე მათი დარგვის წესრიგი.

კლუბის წინ ხალხს ესალმება ამხ გოგოლაძე და გამოფენას აცხადებს გახსნილად. ამხ. ვ. კანდელაკი ესალმება ხალხს მიწათ-მოქმედების კომისარიატის სახელით. სხვადასხვა დაწესებულებების წარმომადგენლების მისალმების შემდეგ, დაიწყეს გამოფენის დათვალიერება.

გამოფენაზე მრავალი ნიმუშებია; ქართლის ხილი შეუდარებელია; მრავალი ჯიშები ვაშლის ადგილობრივი და გარეშე ქვეყნების სილამაზე, ფერი და შეხედულება განცვიფრებას იწვევს. ასეთ საუცხოვო ხილს იშვიათად შეხვდები უცხო დიდ ქალაქებში.

გამოფენა დიდის ხელოვნებით და დაკვირვებით არის გამართული; ის სრულ წარმოდგენას იძლევა ქართლის მეხილეობაზე; დიდებულია ქართლი თავისი ხილით. დიდი მუშაობა ჩანს ჩვენი სახალხო მამულების „სკრის“, „მერეთის“, ქართლის“. მამულებს აქვს წარმოდგენილი საუცხოვო კოლექცია ხეხილის; „სკრა“-ს და „მერეთ“-ს წარმოდგენილი აქვს აგრეთვე მეცნიერული მხარე და დამუშავება ხეების; ისინი ნათლად გვიჩვენებენ ხის მოვლა-პატრონობას და მუშაობის სხვადასხვა წესს.

ქართლის მრავალი კოოპერატივი თავმოყრილია ორ ცენტრში: „ცეკავშირში“ და „წარმოკავშირში“. მათი ნიმუშები არ იცი რომელი რომელს ამჯობინო. ბევრ კერძო მებაღე გლეხმა ისახელა აგრეთვე თავი.

ქართლის ხეხილი ფრიად დასაკვირვებელია; აქაური ხილი პირველია მარტო ჩვენში კი არა, მისი ადგილია მსოფლიო ბაზარი. ამას ამტკიცებენ აურებელი ნიმუშები გამოფენაზე. ვისაც უნახავს საუკეთესო ხეხილი ევროპის ქვეყნებში და ამერიკაში, ის დაგვეთანხმება ჩვენს დებულებაში.

გამოფენის დათვალიერების შემდეგ გაიხსნა ქართლის მეხილეთა ყრილობა, რომელსაც ორასზე მეტი კაცი და ქალი დაესწრო, წაკითხული იყო მრავალი საინტერესო მოხსენება.

X.

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

მიბაძეთ ა. | კ. ფინსახკომის რწმუნებულის საქართველოში არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილების ადგილკომს!

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.

ა | კ. ფინსახკომის რწმუნებულს საქართველოში არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილების ადგილკომი ამასთანავე ერთად გიდგენთ ამავე განყოფილების თანამშრომლების შემოწირულებას თანდართულ სიით გერმანიის მუშების სასარგებლოთ სულ 1 520 550.000 მან. ა | კ. ფულის ნიშნებით და 3 ჩერვონცს სულ 1.811.550 000 მან.

არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილების ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი. ბ. გოგიჩაიშვილი.

არაპირდაპირ გადასახადის განყ. თანამშრომელთა შემოწირულება.

ლომჯარაშვილი ნესტორი 78 400 000 მ., ჩხატარაშვილი მიხეილ 67 200 000 მ; ნიკიტინი ნიკოლოზ, შევარდნაძე ირაკლი, უსტიაშვილი ალექსი და კურცხალია პეტრე თითომ 55 800 000 მ.; ვასილიევი კონსტანტინე და ლოლობერიძე გალაქტიონ თითომ 6 220 000 მ; თვაური მარიამი, ჩხატარაშვილი ევდოკია, წერეთელი ბარბარე, მახარაძე გიორგი თითომ 5 227 000 მ.; ახობაძე მარიამი, ხიმშიაშვილი ალექსანდრე, მთვარელიშვილი ნინო, ტატიშვილი თამარი თითომ 2 016 000 მ.; ჭანკოშვილი სიკო, ვენძეთაძე ნინო, ჭნიშვილი ნინო, გიორგობიანი მინა და გელოვანი ვარლამ თითომ 1 344.000 მ.; სრესელი ნიკოლოზ 74 400 000; ცომაია იონა, ნიკიტინი მიხეილი, ჯაფარიძე სერგო, ავალიანი ბორის, კანდელაკი ეპიფანე, გოკიელი სტეფანე, ჯანელიძე იოსები, ფაფერაშვილი სიმონი და ნაცვლიშვილი კონსტანტინე თითომ 55,800.000 მ.; არდიშვილი ყარამან, მახალდიანი ვასილი, ვარსიაშვილი იპოლიტე, კოლიევი მალენტინე, აბესაძე თეოფანე, აბესაძე სიმონი, ინასარიძე გიორგი, ექსანიშვილი გრიგორი, სიდ-ერისთავი ვასილი, დორენვოვსკი ალექსანდრე, მაჭუტაძე დიმიტრი, ელეფთეროვი ვიქტორ, ტრიგონოვი ივანე, ციმაკურიძე ნიკოლოზ, ინასარიძე ივანე, წივწივაძე ვლადიმერ, ტატიშვილი დიმიტრი, მახათაძე გაბრიელ, დოჭვირი რაჟდენ, კახიძე ვასილი, ბარისაშვილი მიხეილი, ანთაძე ნიკიფორე, ბაქრაძე გიორგი და ვენიალიძე გიორგიმ თითომ 22.400.000 მ., ზაზანაშვილი გერასიმე, კაკაბაძე ნიკოლოზ, კვიჟინაძე ალექსანდრე, ზაალიშვილი გიორგი, აბდალაძე ევგენი, ზაალიშვილი ვახტანგი, გზიროვი გიორგი, ტატიშვილი დიმიტრი, ნაცვლიშვილი გაიოზ, ნაკაშიძე ნიკოლოზ, დიდებულიძე გრიგორი, ლამბაშიძე ლევან, ფარეშიშვილი ალექსანდრე, ჭეჭანაძე გიორგი, გივიშვილი სიმონი, შეხმანოვი პეტრე, პატნკოვსკი ივანე, ბელსკი ვლადიმერი, დავითაშვილი ზაქარია, ვაველოვსკი ვლადიმერ, კუზმინი მიხეილი, მანჩაროვი ნიკოლოზ, ტატიშვილი გიორგი, სტარცევი ივანე, გიორგობიანი კონსტანტინე, მაჭავარიანი ვიქტორი, ლოლობერიძე ილია, ალხოვი პეტრე, გაჩეჩილაძე გიორგი, ღვთიაავრიშვილი სიმონი, დეკანოზიშვილი ვახტანგი, მაზბელი კონსტანტინე, ჯიქიძე კაპიტონ, მათიაშვილი გიორგი, ჭეიშვილი კონსტანტინე, ელისაბედაშვილი მარიამი, ერისთავი ნინო, ყაჯრიშვილი მარიამი, ღვთისავრიშვილი ევა და ყიფიანი ნადეჟდამ თითომ 5 525.000 მ., გოგიჩაიშვილი ბესარიონ 51.620.000 მ., ეზიეშვილი მირიან 24.000.000 მ.

სულ 1.811.550.000 მ.

დუშეთის მაზრპარტკომთან არსებული გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე კომისიის სახელით ამასთან ვადგენთ ხუთ ჩერვონეცს (5 ჩერვონეცს) შეგროვილს დუშეთის მაზრის სხვადასხვა რაიონებში.

შემოწირულებათა შეგროვების დასრულებისას იქნება შემოტანილი დანარჩენი ფულიც და სურსათ-სანოვაგე დანიშნულებისამებრ.

კომისიის წევრი დ. ამირაძე.

ამხ. ვანო ნიკოლეიშვილის გამოძახილზე შემომაქვს ერთი ჩერვონეცი და ჩემს მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს (ფოთიდან): სილოვან ანდღულაძეს, გიორგი ძნელაძეს, ლადო სერგიას, ტიმლაკი კალანდაძეს, კაპიტონ ხოჭოლავას, დიმიტრი ნარაკიძეს, ო. დოლიძეს კალისტო მამალაძეს, ოსკარ ზივერტს, აკაკი ჯალაღანიას, (სენაკიდან) იონა ხუხიას.

ზოსიმე ხუხია.

ამხ. გრიშა მეუნარგიას გამოწვევით შემომაქვს ერთი ჩერვონეცი და ჩემის მხრივ ვიწვევ ყველა ამხანაგებს და პატიოსან მოქალაქეებს, ვისაც დღემდე არ გაუღია თავისი წვლილი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ.

ვ. ხუცისპირელი.

ამხ. არტემ ნადარეიშვილის გამოწვევით შემომაქვს 63 მილიონი და ჩემს მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს (ფოთიდან): ლადიკო კალანდაძეს, გიორგი ბოკუჩავას, კოლია კლდიაშვილს, კარლ მუტის, სოლომონ ხოშტარიას, აკაკი იბიანსკის, ილიკო ახობაძეს, კოლია ბარათაშვილს, მისე ბარამიძეს, ალიოშა ლოლობერიძეს. სენაკიდან, ერმილე შუშანიას, გრიშა მალანიას. ტფილისიდან, ნ. შველიძეს და ანტონიანს. იმედია ამხანაგები არ დაიგვიანებენ პასუხით.

ხაშა ფრუიძე

ამხ. მეუნარგიას გამოწვევით შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ ერთი ჩერვონეცი.

ვახო ჭოჭუა.

ამხ. ს. მეგრელიშვილის გამოწვევით შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად ერთი ჩერვონეცი (ბონებით 97 მილიონი მანეთი) და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ხონის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეს ლადო ნადარეიშვილს, იქიდანვე რაიკომის პასუხისმგებელ მდივანს ამხ. მახარაძეს.

დუშეთის მაზრიდან ამხ. ბოკერიას, სამტრედიის უჩკპროფსოჟიდან ამხ კვანტალიანს, ამხ. იასონ კოპალეიშვილს, აკაკი გვარამიას და ცაგურიას და გ. კოპალეიშვილს.

იმედი მაქვს, რომ ზემოთ ნაჩვენები არ დაიშურებენ თავის წვლილს საერთაშორისო პროლეტარიატის გამარჯვებისთვის.

გ. რუხაძე.

ამხ. სამსონი მამულიას გამოწვევით გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ შემომაქვს ერთი ჩერვონეცი.

კირილე ჯამუხძე ლომია.

ამხ. ბ. გოგინოვას გამოწვევით შემომაქვს გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოთ ერთი ჩერვონცი ოთხმოცდა თხუთმეტი მილიონი (95,000.000) მანეთით.

ალექსანდრე ფაჩულია.

გიგზავნი 60 მილ მან. გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ, თანახმად ამხ. კლიმენტი სულავას გამოწვევისა.

კოწია ვაშაძე.

ამხ. დ. კომახიძის გამოწვევით გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ შემოგვაქვს თითოს 30 მილ. მან. სულ 60 მილ. მან. ვიწვევთ ყველა ჯანმრთელობის და ფარმაცევტიულ ქვეგანყოფილებათა გამგეებს.

ვ. აბზიანიძე, რ. ნიჟარაძე.

მე ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს გერმანიის რევოლიუციის სასარგებლოდ გავიღო ჩემი წვლილი—ვერცხლის პორტსიგარი და ვიწვევ ქალაქ ქიათურიდან ამხ. ჭაბუკი მიშველიძეს და ვალერიან შავკულიძეს გაუგზავნონ გერმანელ ამხანაგებს თავიანთი პორტსიგარები იმედი მაქვს ჩემს მაგალითს სხვა ჩემი ამხანაგები და ნაცნობებიც მიბაძავენ.

აკაკი ქვათარაძე.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ქუთრაიგამგეობა ამასთან ერთად გიგზავნის ხონის ფ ტ. კანტორის მუშა-მოსამსახურეთა შორის შეგროვილ შემოწირულებას გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოდ. სულ ორმოცდა ერთ მილიონს (41.000.000) მანეთს.

ფ. ტ. მ. ქუთრაიგამგეობა.

შემოვიდა 6 და 8 ნოემბერს:

დუშეთის მაზრის გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე კომისია—5 ჩერვონეცი, ზ. ხუხია—1 ჩერვ., ვ. ხუცისპირელი—1 ჩერვ, ცენტრსტატისტ. სამ. თანამშრომლები—250 მილ. მან., ა ფრუიძე—65 მილ. მან., ა. | კ. ფინსახკომის რწმუნ. არაპირდაპირ გადასახადთა განყ თანამშრომლები—3 ჩერვ და 1,520,550,000 მან., ვ. ჭოჭუა—1 ჩერვ., გ. რუხაძე—97 მილ. მან, კ. ლომია—95 მილ. მან., ფაჩულია—95 მილ. მან., კ. ვაშაძე—60 მილ. მან., ვ. აბზიანიძე და რ. ნიჟარაძე—60 მილ. მან., ხონის ფ. ტ. კანტორის მუშა მოსამსახურენი—41 მილ. მან., ბ. კორგანოვი—10 მილ. მან., ა. ქვათარაძე—1 ვერცხლის პორტსიგარი.

სულ 1 ვერცხლის პორტსიგარი, 11 ჩერვონეცი და 2,293,550,000 მან.

წინეთ შემოსულით: 315 ჩერვონეცი, 9,5 გირ ინგ. სტერლინგი. 30,5 ოსმალური ქაღალდის ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 10 ოქროს ბეჭედი, 2 ოქროს სამაჯური, 1 ოქროს საგული, 1 ოქროს საყურე, 1 ვერცხლის ჩაის კოვზი, 34 ვერცხლის მანეთი, 3 ვერცხლის პორტსიგარი, 1 ვერცხლის რგოლი და 12,195,347,000 მანეთი.

ქრონიკა

— **გლეხთა სასახლე ტფილისში.** ოზურგეთის, ქუთაისის, ტფილისის, სიღნაღის, შორაპნის, ბორჩალოს და ზუგდიდის მაზრების საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების სამაზრო ყრილობებმა დაადგინეს მიმართონ მთავრობას შუამდგომლობით დაეხმაროს გლეხთა კომიტეტებს ტფ. მუშათა სასახლესთან გლეხთა სასახლის მოწყობაში. ყრილობებმა აგრეთვე დაადგინა აღნიშნულ მიზნით გაიღონ საკუთარი საშუალებებიდან საჭირო თანხა.

— **საქ. რესპუბლიკის 1923—24 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.** საქ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით საქართ. რესპუბლიკის 1923—24 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განმხილველ კომისიაში არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. ლომინაძე, ქართველიშვილი და ყურულაშვილი.

— **სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დაარსების პროექტი განსახილველათ გადასცა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს კოოპერატიულ სამმართველოს.

— **საქ. მუზეუმები.** საქ. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა განათლების კომისარიატის მიერ წარდგენილი პროექტი საქართველოს მუზეუმების გადახალისების შესახებ.

— **სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო.** სახელმწიფო ვაჭრობის ერთ ორგანოში შეერთების მიზნით, უმაღლეს ეკონომიურ საბჭომ საჭიროდ სცნო ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს უფლებების გაფართოება, რომელიც იარსებებს ცენტრალურ სამმართველოს სახელწოდებით.

— **ახალი დადგენილება საბინაო ქირის შესახებ.** ქ აღმასკომის საბჭომ შეიმუშავა ახალი დადგენილება საბინაო ქირის შესახებ, რომელიც უკვე დაამტკიცა საქ. სახ. კომისართა საბჭომ.

— **კოოპერატიული სამმართველობა.** უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ კოოპერატიულ სამმართველოს შემადგენლობაში შევიდნენ: ამხ. ჟუქაშვილი (თავმჯდომარე), ვ. კანდელაკი (წევრი), დუმბაძე—(წარმოკავშირიდან), ვაშაძე (ფინსახკომიდან) და ტორომშეიძე (ცეკავშირიდან).

— **შემოსავალი საძოვარ ადგილებიდან.** ა.—კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა მიიღო დადგენილების პროექტი საძოვარ ადგილებიდან შემოსავლის შესახებ, რომელიც გადაიდება ადგილობრივ ორგანოების სასარგებლოთ.

— **არქეოლოგიურ ნაშთების აღმოჩენები.** პროფგანათლების მთავარ მმართველობამ შუამდგომლობით მიმართა სამხედრო კომისარიატს, რათა უკანასკნელმა დუთმოს სახელმწიფო უნივერსიტეტს გეოლოგიურ კაბინეტისათვის ვერის ყაზარმის ეზოში აღმოჩენილი ძველი ორნამენტიანი ქვის ფირფიტები.

— **განათლების ინსტრუქტორთა შესახებ.** სოც. აღზრდის მთავარ მართველობის კოლეგიამ დაადგინა ტფ განათლების განყოფილების მთავარი ინსტრუქტორი თავის მუშაობის ანგარიშს სისტემატიურათ წარუდგენდეს განათ. კომისარიატის საინსტრუქტორო განყოფილებას.

— **ხელსაწყოების გადაცემა.** პროფგანათლების მთავარ-მმართველობამ დაადგინა მე-76 შრომის სკოლას გადასცეს მე-8 ტეხნიკუმის ფიზიკურ კაბინეტიდან ზოგიერთი ხელსაწყო.

— **ბირჟაში ჩაწერის შეწყვეტა.** 6 ნოემბრიდან შრომის ბირჟაში შეწყდა ჩაწერა იმ უმუშევრების, რომელნიც ჩამოსული არიან და კავშირის წევრად არ ითვლებიან.

— **საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს დადგენილება.** საკათალიკოსო საბჭოს დადგენილებით ყველა უქმეები, წმინდანთა ხსენებანი და მარხვანი გადატანილია ახალ სტილზე 1923 წლის 1-ლ ნოემბრიდან.

— **სამხედრო რევტრიბუნალის თავმჯდომარე.** ა. კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტთან არსებულ სამხედრო რევტრიბუნალის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. გიორგი ჩხეიძე.

— **უმუშევართა სამშობლოში გაგზავნა.** ოქტომბრის განმავლობაში შრომის ბირჟის მიერ სამშობლოში გაგზავნილია 82 უმუშევარი.

— **დაზღვეულ უმუშევართა რაოდენობა.** ამ ჟამად ტფ. შრომის ბირჟაში ირიცხება 2883 დაზღვეული უმუშევარი.

— **შრომის ბირჟა.** 6 ნოემბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა—114, ახლად ჩაეწერა—66, სამუშაოზე გაიგზავნა—42 უმუშევარი.

— **კინო-სურათების ჩამოტანა საზღვარ-გარეთიდან.** ა.-კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატმა დაადგინა, ნოემბრის დამლევს მოიწვიოს ა-კავკასიის რესპუბლიკათა კინო წარმოების წარმომადგენელთა თათბირი საზღვარ-გარეთიდან კინო-სურათების და საჭირო მასალების ჩამოტანის საქმის მოსაწყობათ.

შემთხვევები.

— **ტუსაღის შეპყრობა.** 5 ნოემბერს შეიპყრეს მე 4 სამილიციო უბნის სატუსაღოდან 30 ოქტომბ. გაქცეული ტუსაღი იოსებ მიკირტუმოვი.

— **ბინის გაქურდვა.** 5 ნოემბერს გაქურდეს მოქ. ივანე კულიმოვის ბინა (სანაპირო ქ. № 4), წაღებულია ორი მილიარდის ნივთები.

— **კოოპერატივის გაქურდვა.** 4 ნოემბერს გაქურდეს სოფ. წილკანის კოოპერატივი, საიდანაც წაიღეს რამოდენიმე მილიარდის საქონელი.

— **ქურდის შეპყრობა.** 4 ნოემბერს შეიპყრეს სევერიანე ნარიმაშვილი, რომელსაც ბრალი ედება სხვა და სხვა ქურდობაში.

— **ჯიბგირის შეპყრობა.** 4 ნოემბერს შეიპყრეს ჯიბგირი გრიგოლიევი.

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური დრამა.

„მზის დაბნელება საქართველოში“.

სამშაბათს, ნოემბრის შვიდს წარმოდგენილი იქნა „მზის დაბნელება“ ანტონოვისა.

„მზის დაბნელება“ კ. მარჯანიშვილმა სულ გადაახალისა და საამო სანახავად გაჰხადა ჩვენი საზოგადოებისათვის.

როგორც სჩვევია მარჯანიშვილს, უდიდესი ყურადღება აქვს მიქცეული დეკორატიულ მხარესა და მასიურ სცენებს.

მშვენიერია სურათები ძველი ოღრო-ჩოღრო თბილისისა თავისი ქუჩაბანდებით, სამიკიტნოებით, პირველყოფილი სახელოსნოებით.

ამდიდრებს შთაბეჭდილებას ცოცხალი მონაწილეობა ქუჩური ვაჭრობის, კინტოებისა და თამაშის მაბიებელთა.

ქუჩიდან ქუჩაში საცვლების გაშოკიდვა—ეს უფრო იტალიის ქალაქ ნეაპოლის ჩვეულებაა და არა ძველი თბილისისა.

ჩვენ ქალაქს საამისოდ ყოველთვის ჰქონდა საკმაო ეზოები უნაბისა და კილლევის ხილით ამწვანებული, ან კიდევ სახლის ბანიები და ქუჩაში არას დროს არ გამოჰფენდენ თავიანთ საცვლებს.

როგორც ეტყობა, პატივცემული რეჟისორი დიდ ყურადღებას აქცევს ყოველ წვრილმანს. ჩვენც უნდა გავყვეთ და აღვნიშნოთ ზოგიერთი ნაკლი ამ „წვრილმანისა“.

პირველ და მეორე მოქმედებაში ამდენსა ქეიფობენ ზურნა-დალაბანდით „ორთაჭალის ბიჭები“ და ამავე დროს დასახასიათებლად არა მღერიან არც ერთ შაიროს, არ ამბობენ არც ერთ ძმაბიჭურ სადღეგრძელოს. ეს თვალსაჩინო ნაკლია ასე გაბმული ქეიფის მთლიანობისთვის.

ან ერთი ბეწვა ტიკის გადმოსაღებათ რა საჭიროა ხუთი-ექვსი კაცი?

ან სახელოსნოების წინ ოჯახის ქალი მარიხისა და ჩინოვნიკის აშიყობა განა შესაფერია?

სხვათაშორის ულამაზესი სურათია—ნამდვილი წვიმა სცენაზე.

ახლა თამაშობაზე.

გეურქ აღას როლს თავის დღეში არა ჰყოლებია ისეთი სამაგალითო შემსრულებელი—როგორც ნიკო გოცირიძე.

შეუდარებელია, საუცხოვოა და უკეთესად თამაში ვერც წარმოგვიდგენია სხვა ვისმეგან.

მასთან ერთად სილამაზესა სთესავდენ ალისა ქიქოძე და ვასაძე.

ალისა ქიქოძეს, მართალია, მარიხის პატარა როლი ჰქონდა, მაგრამ იგი მაინც დიდ ადგილს იჭერს მაყურებლის თვალში.

ცელქი, ცუღლუტი, მიმიტი. არშიყობით ცეცხლ-მოდებული მოუსვენრადა ცქმუტავს სცენაზე.

როდესაც სალაპარაკო აღარა აქვს, იგი მაინცა მეტყველობს თავის თავის მონაპერწკლე არსებით. ამ გვარად არც თვითონ სცდება და არც მაყურებლის თვალს აცდენს ტყუილ-უბრალოდ.

ვასაძეც ახალ მსახიობთა შორის ყველაზე საიმედო ძალათ მოსჩანს. მას ყოველთვის ეტყობა რწმენა და სიმტკიცე თავის თამაშობაში. იგი ყოველთვის ბატონობს თავის როლზე და ამითი მოგებულიც გამოდის.

ეს თავისი მაღალი თვისებანი ახლად დაამტკიცა ჩინოვნიკის როლის თამაშში.

სამაგიეროდ სრულებით არ იყო შერჩეული როლი ნ. გვარაძისათვის.

ტფილისის ძველი მოქალაქისთვის უცხო არის ნიკო გვარაძის სიდინჯე, მისი კილოც, მისი ტემპერამენტიც.

ამიტომ ცივად ჩაიარეს ყველა იმ სცენებმა, რომელნიც ჩვეულებრივად დიდ სიმხიარულესა და სიცილს იწვევენ მაყურებლებში.

სუსტი იყო ბეჟანიშვილის ქალიც დედაბრის როლში.

იგივე ითქმის უშანგი ჩხეიძეზე თავადის როლში.

მსახურის ცოცხალი როლი სულ უსიცოცხლოდ ჩატარდა.

ან მიკიტანი რაღასა ჰგავდა

ეგეთი ბედასლი მიკიტნები ეხლაც კი აღარ არიან. არამც თუ იმ დროებაში ყოფილიყო, როცა მოქეიფენი თითქმის მხოლოდ მიკიტნის ეშხით მიდიოდენ ამა თუ იმ დუქანში.

კიდევ ერთი პატარა ნაკლი:

უკანასკნელ მოქმედებაში გამოტირილის დროს მოსამძიმრენი ისე შემორბიან და მიექანებიან თავიანთ ადგილას, თითქოს ეშინიათ—სხვამ არავინ დაგვასწროს ჩვენს ადგილას დაჯდომაო.

მოსამძიმრეს ახასიათებს დარბაისლობა და არა ასეთი მსუბუქი ცუნცრუკი.

ლელი.

სახელმწიფო ოპერა

„ჯამბაზები“.

ამ წარმოდგენაში ტონიოს პარტიას მღეროდა ახალგაზრდა მომღერალი კაზაკაშვილი, რომელიც ეხლა იწყებს საოპერო კარიერას. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ახალგაზრდა მომღერალის სცენიური კარიერა თანდათან უფრო ნათელი ხდება. კაზაკაშვილს მშვენივრათ უჭირავს თავი სცენაზე. ის მუსიკალური მომღერალია, თვალყურს ადევნებს მოქმედების განვითარებას სცენაზე და მისი გამოსვლები ყოველთვის მტკიცე და მოფიქრებულია. გრიმი ამ პარტიაში მეტად მოხდენილი იყო. მომღერალს დიდი ხმა აქვს თავისუფალი და ხმოვანი მაღალ რეგისტრებში, რამოდენიმეთ დახშული საშუალო და დაბალ რეგისტრებში. მომღერალმა უნდა მიაღწიოს ხმის გამკვირვალებას, ხმის მთელ დიაპაზონის მანძილზე; სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს დიქციას—ის ვერ არის მკაფიო.

მშვენიერი მიდგომა აქვს ნედდას პარტიისათვის მოქ. ბოკოვას. მსახიობი იძლევა მთელ რიგ დამთავრებულ სცენიურ რეალურ მომენტებს. მის განცდას სცენაზე სინამდვილის ელფერი ედო—სცენაზე არ იყო ბოკოვა, იყო მხოლოდ ნედდა—გლეხის ქალი და კოლომბინა—საბაზრო თეატრის მსახიობი ქალი.

მშვენიერია სცენა ტონიოსთან; ლირიზმით და სიყვარულის განწყობილებით სავსე იყო სცენა სილვიოსთან, და კიდევ უკეთესი იყო მთელი სცენა ქმართან—კანიოსთან. მსახიობს მხატვრულათ მიჰყავს სცენა

მუშათა ცხოვრება

დღეს, პარასკევს 9 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე კომუნისტი-მუშკორები უნდა გამოცხადდენ ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის საგ-საპროპაგანდო განყოფილებაში მოწვეულ თათბირზე.

მუშაობა სწარმოებს

საქართველოს რკინის გზების ხაზზე ამ ჟამად მუშაობს ათასამდე მტვირთველი მუშები; ამათგან, ერთ მესამედზე მეტი 400-მდე კაცი, მუშაობს ტფილისის სახალხო საქონლის სადგურში. მტვირთველ მუშებს შორის დიდი უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია; და თუ წინედ მუშები საერთოდ ჩამორჩენილი იყვნენ განათლების მხრივ, მით უმეტეს ეს ითქმის მტვირთველ მუშებზე. ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია მტვირთველი მუშების „ტრანსპორტნიკების" კავშირმა და ცენტრამოტის მე 4 განყოფილებაში გახსნილ იქნა პირველი საფეხურის სკოლა, სადაც სწარმოებს მუშებს შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. მასწავლებელიც ამ მხრივ ერთგულად მუშაობს, დროგამოშვებით მართავს ლიტერატურულ გასამართლებებს, რომლებსაც მუშები დიდის ხალისით ეკიდებიან. მუშების დიდ უმრავლესობას გამოწერილი აქვს გაზეთი „მუშა" და უფასოდაც ღებულობენ გაზეთ „კომუნისტის" თითო ეგზემპლიარს თვითეულ საწყობზე.

კულტურულ მუშაობის წარმატებას ხელს უწყობს აგრეთვე ადგილკომსა და ადმინისტრაციის შორის კარგი განწყობილება და შეთანხმებული მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად. კიდევ ერთი ნაბიჯი წინ, მეტი დაწოლება ცოდნაზე, და ტფილისის საქონლის სადგურის მუშებში სრულიად აღმოიფხვრება ის ჯოჯოხეთური სიბნელე, რომელსაც წერა-კითხვის უცოდინარობა ეწოდება.

ტფ. საქ. სადგურის მუშა პროკოპი ჩხიკვაძე.

ყველაფერი რიგზეა

(ამხ. ლენინის მე-3-ე თამბაქოს ფაბრიკა).

1) წარმოების მდგომარეობა.

მშვიდობიანობის დროს მუშები თამბაქოს ხარისხების განაწილებელ განყოფილებაში, არჩევდნენ 10—15 ფუთამდე დღეში, როცა სამუშაო დღე 10—12 საათი იყო. ახლა კი როცა სამუშაო დღე 7 საათია, მუშები არჩევენ აგრეთვე 15 ფუთამდე დღეში.

ჩვენი ფაბრიკა ყოველთვიურად აძლევს ბაზარს 16-მდე მილიონ ღერ პაპიროსს და 24.000 გირვანქა თუთუნს.

თუ ავიღებთ უკანასკნელ თვეების წარმოებას, როდესაც მნიშვნელოვანი ნორმა მზადდებოდა, დავინახავთ, რომ სექტემბრისთვის 15 დღეში, გამომუშავებულია პაპიროსი 8.000.000 ღერი ე. ი. დანიშნულების 100 პროცენტზე მეტი და თამბაქო კი დანიშნულების 80 პროცენტი.

მუშაობის წარმატება ასეთივე დიდია.

მუშებს და მექანიკებს შეგნებული აქვთ, რომ თუ ნორმაზე შედარებით მეტად ჩქარა ამუშავებენ მანქანებს, ისინი წახდებიან და წარმოება შეფერხდება.

2) ნედლი მასალა.

მაზუთის და სხვა საცხები მასალის მარაგი არის ერთი თვის. გილზებისა და მუნშტუკის მარაგიც ერთი თვის საყოფია.

თამბაქოს მარაგი ძლიერ ცოტაა.

ფაბრიკის დირექტორი ყველა საჭირო მასალას თავის დროზე იწერს თამბაქოს ტრესტისგან და ამიტომ შემთხვევა არ ყოფილა მარაგის სავსებით გამოლევის.

3) ჩვენი მუშების მდგომარეობა.

მუშებისგან საჩივარი ძალიან იშვიათია. მათი საშუალო ხელფასი განისაზღვრება მე-6-ე ხარისხით 20 საქ მანეთში.

მუშები, რომლებიც წარმოებაზე მუშაობენ (მოსამსახურეთა გარდა), ღებენ ყოველთვიურად საწარმოო ულუფას, 500 ღერ პაპიროსს. ამას გარდა ნორმაზე ზედმეტ მასალის გამომუშავებისათვის უწინ იღებდენ პრემიალურ ჯილდოს ფულად, რაც ეხლა მოისპო.

რადგან ყველამ იცის, რომ უსაქმოსთვის არაფერს იძლევიან და ამ დღეს ჯამაგირს აკლებენ, ამიტომ მუშები სამუშაოს არ აკლდებიან.

ყველაზე უფრო მეტის რაოდენობით პაპიროსი კეთდება ქალების მიერ.

ფაბრიკაში 187 კაცია მუშა და მოსამსახურე. ქალი 84, კაცი 97 და მცირეწლოვანი 6.

„მალე ახალ ხელშეკრულების შემდეგ იმედი გვქნება სპეც ტანისამოსებს მოგვცემენ და საკუთარი აღარ დაგვჭირდება", ამბობენ მუშები.

მუშები ძნელ სამუშაოზე მყოფნი იღებენ რძეს.

ჩვენ ფაბრიკაში მუშაობა შეუწყვეტლად მიდის.

მადლობის ღირსია დირექტორი ამხ ახპატელოვი, სპეცი ფრიად საქმიანი კაცი.

მისი მოადგილეც ამხ. არიბჯანოვი, ფაბკომის პასუხისმგებ. მდივანი უნარიანობას და საქმიანობას იჩენს.

მახს.

როდის მოგვაქცევენ ყურადღებას?

(მბეჭდავთა კავშირის საყურადღებოდ)

ელისაბედის ქუჩაზე, № 60, არის საბჭოთა სახლი, რომელიც ეკუთვნის ბეჭდვითი კავშირის წევრებს და დღეს ცხოვრობენ ამ სახლებში. ეს სახლი ზაფხულში, ასე თუ ისე მისაღებია მუშათა კლასისათვის, მაგრამ საზამთროდ კი ნაკლებად გამოსადეგი. საქმე იმაშია, რომ ამ სახლის მდგომარეობას ძალიან ნაკლები ყურადღება ექცევა ვისგანაც ეს ჯერ არს და აგერ უკვე სამი წელი სრულდება თითქმის, რაც აქ არავითარი რემონტი არ გაკეთებულა, თუ არ მცირე ღებთ ხედველობაში კიბის მცირე რემონტს, რომელიც წელიწადნახევარია, რაც გააკეთეს.

გარდა ასავალ-ჩასავალი კიბისა, ამ სახლს აქვს აგრეთვე კარებიც, ფანჯრებიც, ოთახები და მასთან დაკავშირებული სამზარეულოც და სხვ.

ყოველთვიურად აქ მცხოვრები მუშები ვიხდით ჩვენ კუთვნილ გადასახადებს—წყლისას და ოთახისას. ზამთარი კარებზე გვიკაკუნებს. ბევრ ოთახებში მინები ჩამტვრეულია; ზოგს კარდონები აქვს მინების მაგივრად და ზოგს კი თხელი ფიცარი. ბევრჯერ მივმართეთ ჩვენ ძველსაც და ახალ გამგეს, რომ ოთახებისათვის მინები ჩაესვა, მაგრამ დაპირებით ვიკვებებით; დაგვპირდენ „ხვალისთვის", მაგრამ ეს „ხვალ" არ გამოილია; ეხლა საჭიროა ამ დაპირებას ბოლო მოეღოს და თუ მართლა მინები არ მოიპოვება და ძვირია, მაშინ, საჭიროა, ისევ ამ სახლიდან ვისარგებლოთ იმ მინებით, რომლებიც სრულიად უსარგებლოდ ამ ჩვენი გაჭირვების დროს სახლის დიდ კიბეზე არის ფანჯრებში გაკეთებული, მხოლოდ ამისთვის საჭიროა ნებართვა და ცოტა ხარჯების გაღებაც, რომელიც, მე მგონი, ჩვენი ოთახების ქირიდან შეიძლება დაიფაროს. ყველა ამისთვის კი საჭიროა ინიციატორობა, და კარგს იზამდა ჩვენი ბეჭდვითი კავშირი, რომ ამ ზამთრისთვის გამოიჩენდეს ინიციატივას და იმ მინებს მაინც მოახმარდეს ჩვენს ოთახებს.

სამი წელი ვითმინეთ და მგონი ეს ხანი სამყოფი უნდა იყოს, რომ ჩვენი სახლები კიდევ ამ ზამთრისთვის უყურადღებოდ არ იქნეს მიტოვებული.

ჩვენ, მუშები, ველით საქმის სისრულეში მოყვანას, ვისაც ეს ევალება, საჩქაროდ.

მუშკორი უ. ჯაში.

ახლა მაინც მიექცეს ყურადღება

(აღმასკომის საყურადღებოდ)

ხშირად იწერება მუშკორის მიერ რაიმე მნიშვნელობის წერილი, რომელიც რჩება ხოლმე სრულიად უყურადღებოდ ეს უყურადღებობა შემჩნეულია არა იშვიათად.

ამას წინად ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი „ბნელი ქუჩა" ამ სათაურით. მას შემდეგ გავიდა, მგონი, სამი კვირა და არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ, როგორც ჩანს, იმ წერილისათვის.

იძულებული ვარ აღვნიშნო, რომ ეს ქუჩა ცუდ პირობებშია. ღამით სრულებით არ არის განათებული, რაც, როგორც მაშინ აღვნიშნავდი ხელს უწყობს ყოველგვარ „გარყვნილებას" და ბოროტმოქმედებას არ არის აგრეთვე სისუფთავე ქუჩაში. ღამე გამვლელ-გამომვლელი სარგებლობს სიბნელით და ქმნის ანტისანიტარულ მდგომარეობას. მე მგონია აღმასკომმა ამ ქუჩას (ჩერქეზიშვილის ქუჩასთან, ახალციხის შესახვევი) უნდა მიაქციოს ყურადღება: გასცეს სათანადო განკარგულება, რათა გააკეთონ ორი, ან სამი ელექტრონის „ფანარი", რითაც ყოველგვარ ცუდ მოვლენას ბოლო მოეღება.

ვიმედოვნებთ, რომ ამ შესახვევს ახლა მაინც მიექცევა ყურადღება სათანადო ორგანოების მიერ.

მუშკორი მზილებელი.

ქართული დრამა სახალხო სახლში

ა. წ. 3 ნოემბერს სახალხო განათლების კომისარის თავმჯდომარეობით, მისივე კაბინეტში შესდგა სახალხო სახლის 30 წლის იუბილეს მომწყობ საიუბილეო კომიტეტის სხდომა. სხდომაზე დაისვა საკითხი: სახალხო სახლის ქართული დრამის 30 წლის იუბილეს გადახდის შესახებ. ინფორმაციის სახით მოხსენება გააკეთა აღნიშნულ დრამის გამგეობის თავმჯდომარემ ს. ახვლედიანმა, რომელმაც გააცნო დამსწრენი არჩეულ საიუბილეო კომიტეტის მუშაობას, აგრეთვე მუშაობა სხვადასხვა კომისიებისა, როგორც არის: სამხატვრო, სარედაქციო და საფინანსო. გამოირკვა, რომ საფინანსო კომისიას ამ ხნის განმავლობაში არასწორი გაუკეთებია. მოხსენების შემდეგ დადგენილ იქნა—სახ. სახლის ქართული დრამის იუბილე გადახდილ იქნეს ფართე მასშტაბით ამა წლის 2 დეკემბერს; დაეგზავნოს სხვადასხვა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს სათანადო ხასიათის მოწოდებები, ბროშიურები იუბილეში მონაწილეობის მისაღებად, როგორც ადგილობრივ ისე პროვინციებში; ეცნობოს მოსკოვში ჩვენს თანამემამულე ალ. იუჟინ-სუმბათაშვილს იუბილეს შესახებ (თანახმად მისივე პირადი თხოვნისა), ამავე სხდომაზედვე არჩეულ იქნა ახალი სამხატვრო და სარედაქციო კომისიები, რომელთაც დაევალათ სასწრაფოთ გეგმის შემუშავება და მოწოდებების და ბროშიურების გამოშვება. განათლების კომისარმა დახმარება აღუთქვა საიუბილეო კომიტეტს იუბილეს მოწყობაში და მის ზეიმის გადახდაში

მუშკორი მელითონე.

მუშათა ქრონიკა

— **ახალი წრეები.** 30 ოქტომბერს ორჯონიკიძის სახელობის კლუბთან მოეწყო ახალი წრეები: სამხატვრო; ფიზკულტურის და სანგანათლების. წრეებში მუშაობა დაიწყება უახლოეს დროში.

— 1 ნოემბერს ექიმმა ქალმა იმერლიშვილმა წაიკითხა მეტად საინტერესო ლექცია რუსულ ენაზე: „ქალის გიგიენა". ლექცია უფასო იყო.

წარმოდგენის დროს. მეტად ლამაზია მსახიობის გრიმი და კოსტიუმი.

ჯამბაზის პარტია (კონიო) გამოყენებულია სცენაზე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით. თითქოს აქ უკვე არაფერი ახალის მოცემა აღარ შეიძლება მაგრამ მოქ. ევლახოვმა მაინც შესძლო ახალი საინტერესო შტრიხები მოეცა ჩვენთვის. პარტიის გაგება მოქ ევლახოვის მიერ ინტუიტური და რეალურია თავიდან ბოლომდე. დიდის გრძნობით იყო ჩატარებული სცენა სცენაზე, შესრულების დროს არ იყო უტრიროვკა, ეს თამაში კი არა რეალური განცდა იყო. მხატვრულ სიმაღლეზეა აგრეთვე ვოკალური გადმოცემაც. მშვენივრათ იყო შესრულებული არიოზო „იცინე ჯამბაზო".

მოქ. იგონინი დამთავრებულათ ვერ ასრულებს არლეკინის მშვენიერ სერენადას; აქ საჭიროა უკეთესი ფრაზიროვკა, უფრო მკაფიო დინამიკა და მელოდია, საჭიროა აგრეთვე მეტი განწყობილება.

მეტად მუსიკალურათ მღერის სილვიოს პარტიას მოქ. ვენძე. მომღერალი, როგორც ჩანს, ბევრს მუშაობს და ის წარმატებით მიდის წინ. მსახიობი უნდა ეცადოს, რომ ნაკლებ ღელავდეს სცენაზე, მან მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მოქმედების განვითარებას (მეორე აქტის ფინალი).

კარგია გუნდები, განსაკუთრებით ზარების რეკვით. აქ კარგათ ნელდება გუნდის სიმღერა.

ორკესტრმა ვანო ფალიაშვილის ხელში მშვენივრათ გამოჰყო პარტიტურის სილამაზე. დადგმა ძველებურია.

მუსიკოსი.

— **1917 წლამდე დაღუპულ რევოლიუციონერთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ალბომი იბეჭდება** და გამოვა ამ დღეებში; ალბომში მოთავსებული იქნება 1917 წლამდე დახოცილ რევოლიუციონერთა 40—50-მდე სურათ-ბიოგრაფია მოგონებანი.

— **ჟურნალი „დროშა".** გამოვიდა. მიხ. კახიანის რედაქტორობით ჟურ „დროშის" პირველი ნომერი. ჟურნალში პროლეტარულ მწერალთა ნაწერების გარდა, მოთავსებულია სანდრო შანშიაშვილის პიესა: „სპარტაკის" პირველი მოქმედება. ჟურნალი დასურათებულია და დაბეჭდილი კარგ ქაღალდზე.

— **პროლეტარულ მწერალთა კავშირი ქუთაისში.** დაარსდა პროლეტარულ მწერალთა კავშირი, სრ. საქ. პროლეტარულ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობით.

— **ახალგაზრდა პოეტის დ. ჯავახიშვილის გარდაცვალება.** სოფ. ხოვლეში ტუბერკულიოზით გარდაიცვალა ახალგაზრდა პოეტი დ ჯავახიშვილი. განსვენებულს ლექსებს გარდა დარჩა პიესები, რომელთა დადგმა განზრახულია რუსთაველის თეატრში.

— **გაზ. „ორიონი".** გამოვიდა პროლეტარულ მწერალთა ყოველკვირეული გაზეთის „ორიონის" მორიგი ნომერი 3. გაზეთში მოთავსებულია წერილები და ლექსები ოქტომბრის დღესასწაულის შესახებ.

— **„გმირი".** ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, რუსთაველის თეატრში, პირველად ქართულ სცენაზე, წარმოდგენილი იქნება სინგის პიესა: „გმირი" თარგმანი გრიგოლ რობაქიძის, დადგმა კ. მარჯანიშვილის.

— **სახალხო სახლი.** სახალხო სახლის ქართული დრამის დასმა აირჩია გამგეობა შემდეგი პირებისაგან: ს. ახვლედიანი, კ. სალირაშვილი, ი. ვარაზაშვილი, ნ. გრიგსელი, კ. სალირაშვილი, გ. აბელიშვილი, ი. ბესელიაძე. გამგეობაში აგრეთვე შედიან პროფესიონალურ კავშირების ორი წარმომადგენელი.

— **სახალხო სახლის წიგნთსაცავი.** სახალხო სახლის ქართული დრამის გამგეობას გადაეცა კ. შათირიშვილის წიგნთსაცავი, განსვენებულის ანდერძის თანახმად.

— **საბავშვო წარმოდგენების განთავისუფლება გადასახადისაგან.** განათ სახ. კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად ტფ. ქ აღმასკომმა დღისით გამართული საბავშვო წარმოდგენები გაანთავისუფლა საპროცენტო გადასახადისაგან.

— **რევოლიუციის სიმღერები.** დღეს, ნოემბრის ცხრას, სახალხო სახლში მორიგ წარმოდგენის საკონცერტო განყოფილებაში ქალ-ვაჟთა გუნდის მიერ კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით შესრულებული იქნება, სხვათა შორის, პირველად ტფილისში რამდენიმე ნომერი რევოლიუციონერ ქართულ სიმღერათა ახლად გამოსულ კრებულიდან (კომუნარების მარში, მუშათა განთიადი, მჭედლები და სხვანი).

7 ნოემბერი

დღე

ოცდა ხუთ ოქტომბერს—ეს მეექვსეთ დღესასწაულობს ნოემბრის შვიდი.

შემოდგომის მზე ყაბაზე ნატყორცნი თასივით ლაპლაპებს გვერდელა სამხრეთზე.

ცას დავიწყებია სილურჯელიც და ნისლის ხვეწნაც.

შემოდგომის მინაზებული სიკაშკაშე დაეუფლებია მთელს არე-მარეს.

როგორი იყო გუშინ ტფილისი—ეს ყველამ იცით.

აბა იცანით—ამ დღეს იგი როგორი არის!

ადრე გამოფხიზლებული.
დროშებით.
სიმღერით,
ჟრიამულით.
მუსიკით.

რუსთაველის პროსპექტი მხოლოდ ცალ მხარეს მიესწრაფვის:
იქითკენ,
ილალისკენ,
დიდუბისკენ.

წითელი ქარი ყველას იქითკენ მიაქანებს.

მიდიან ჯარები ისევე ჩქარა—როგორც ბრძოლაში.

ისევე დინჯად—როგორც ბრძოლაში.

მიეჩქარიან ბავშვები სულ მიამიტად—როგორც მშობლებთან.

თავშიშვლებს, კისერ-მოღეღილთ წითელ პერანგის სახელონი დაუკარწახებიათ და უჩანთ შიშველი, ნორჩი მკლავები.

ეს მკლავები ერთ დროს შრომაში შეებმიან.

ერთ დროს მებრძოლათ იქცევიან.

დღეს კი მხოლოდ „დედა ენას" გადაფურცლავენ და მუსიკას აყოლებენ დიდუბის გზაზე.

ტალღა ტალღაზედ მოეშურება:
მოსწავლენი,
მოსამსახურენი,
მუშები.
ფეხით,
ეტლებით,
ავტომობილებით,
ცხენებით.
მუსიკით,
დროშებით.
კიდევ მუსიკით,
კიდევ დროშებით,
უთვალავია—როგორც მებრძოლნი მსოფლიო რევოლიუციისა.

პლეხანოვისა და კიროჩნი ქუჩას ჯვარედინზე ნაკადი ნაკადს უერთდება და შემოდგომის მოზღვავებულ მდინარესავით განაგრძობს გზას.

ეს ხალხი რაღაა, რომ ველარ იტევს ვერც ერთი ქუჩა!

ჩვეულებრივად სად ეტევა იგი? რომელ სახლებში? რომელ ქუჩებში?

ყველას ფეხი აუდგამს—
კუტების გარდა.
სულით კუტების გარდა.
და ერთმანეთს უსწრებს დიდუბისაკენ.

ყველა, ყოველმხრით
დიდუბისაკენ!

ლამაზი სასაფლაოდან დაღუპულ ავიატორთა ჯვარედინი ფრთები დაბმული არწივებივით გამოსჩერებიან ხალხის სიცოცხლეს.

სადღლე მანდორი გულუხვია სტუმრების მიღებაში.

და თანდათან იქედება იგი შავად—
ხალხით.
წითლად—
დროშებით.
ხალხს იქით ხალხია.
დროშებს იქით—დროშები.
სხვას არ დაუჯერებ—თუ შენ არ განახავს.
შენ თვალთაც ვერ უჯერებ სიმრავლეს ხალხისას.

ტრიბუნები ამეტყველდენ.
ტრიბუნებმა დაიჭექეს,
და ყველგან გაისმის ორი დიდი სიტყვა რევოლიუციისა:
„ამხანაგებო!"
„გაუმარჯოს!"

შუადღის შემდეგ ხალხი იშლება მწყობრად, წესზე.

ისევ ჩაიარეს ქალაქში და დასტოვეს ყველას გულში, და დასტოვეს მტერთა გულშიც.

დიადი რწმენა რევოლიუციის გამარჯვებისა.

გამომშვიდება ძველის ქვეყნისა.

საღამოზე

ხალისიანად არის ტფილისი.
შინ არავის უძლებს გული.
ყველა კარშია.
ღამდება მზით.
თენდება ელექტრონით,

მუშათა სასახლე ელავს თეთრად—
პატარძალივით და ცის საზღვარზეც შემწკრივებიან თეთრი ვარსკვლავები.

დიდი სასახლეც „ათას ერთ ღამეს" გიხატავს თვალ წინ.

ფერად-ფერადათ, უხვზე უხვათ შემოკარწყლულია ელექტრონის ნათელი კენჭებით.

იგი წაგავს ინდოელის ჯადოქარ ხელით მოჩუქურთმებულს.

ლალის ფერი ვარსკვლავნიც რომ დაჰბნევია ცას რევოლიუციისას, იგინი ყველა აუკრებია არმიის წითელ შტაბს და მხოლოდ მათით შეუმკია სასახლე თვისი.

ქალაქის სახლიც საზღაპრო კოშკს წარმოადგენდა და მის მწვერვალსაც სიბნელეში წითელი ბურთი დაქათქათებდა.

მამადავითის გორას დასწოლია დიდი სიბნელე.

და იქ, სულ მაღლა, ბნელის გულში ელვარებს ვარსკვლავი.
წითელი ვარსკვლავი.
დიდი ვარსკვლავი
ხუთ კუთხიანი.

სამხედრო ტაძარსაც ციური შუქი შეგორებია გუმბათის წვერზე და მორწმუნეთაც პირველად მაინც მოეჩვენებათ რაღაც სიწმინდეთ.

ეს ყველა დაშლილი სინათლე არის ფერად ფერადათ.

ახლა ივლეთ აწყვეტილი სინათლე—მუზხუნები—გაღმა და გამოღმა.

ისმის სიმღერა ქუჩიდან ქუჩაში.

დაჰქრის მუსიკა ავტომობილებით.

ორთაჭალის მოქალაქენიც საზანდრით დასეირნობენ.

რუსთაველის პროსპექტს ზურნაც სწვევია.

და ხალხი უთვალავი.
ხალხი—ზღვა ღელვარი.
ხალხი—ხარბი სანახაობის
ხალხი—მაძღარი სანახაობით—
დაიზლაზნება.

და ტაშს უკრავდა ბუნებაც.
შვიდი ოქტომბრის გუნებას.

ლეონარდო.

პროვინციაში

გამოჩინებულის თემი (ქუთაისის მაზრა)

ეს თემი კულტურულ-განმანათლებელ დარგში ძალიან მოიკოჭლებს. აქ ცრუ-მორწმუნეობას და მავნე ჩვეულებებს ფესვები კიდევ მაგრად აქვს გადგმული და დიდი შრომა და უნარია საჭირო მათ აღმოსაფხვრელად. ავიღოთ თუგინდ ეგრედწოდებული ტირილი, ეს ჩვეულება—ტირილი—ახლობელ ნათესავისა და მეზობლის ვერ გადაუგდიათ.

ეს გავრცელებული ძველი ჩვეულება დიდს ზიანს აყენებს სოფლის მცხოვრებთ, ისედაც ეკონომიურად დაქვეითებულთ სრულიად ანადგურებს და წელში სტეხს. ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს აგრეთვე ის ვითომ და „სირცხვილ-ნამუსი", რომელიც ამ დამყაყებულ ზნე-ჩვეულებას თან დაყოლილი აქვს. ეს კი გამოწვეულია ერთი-მეორის წაბაძვით. ვთქვათ, სოფლის გლეხს ვინმე ოჯახში გადაეცვალა, ის მართავს „ტირილს", სადაც, შეძლებისდაგვარათ, იკვლება ოთხ-ფეხი და ორფეხი. ეს უფრო გავრცელებულია ორმოცის დღის შესრულების დროს, მხოლოდ „ტირილის" დროს კი უფრო მიღებულია სამარხვო-თევზი, ლობიო და სხვა.

ორმოცი დღის შესრულების დროს კი გარდაცვალებიდან მოსდევს მეტი ხარჯი; იკვლება ძროხა, ან მოზვერი, ღორი და სხვა საქონელი თუ ფრინველი, რასაც ამზადებენ „საკურთხისათვის", ვითომდა მიცვალებულის პატივისაცემლად და „საცხონებლად".

მე თვითონ მოწმე ვიყავი, როდესაც ერთს ჩემს ახლო მეზობელს მეუღლე გარდაეცვალა. ქ. სამტრედიაში იყიდეს მოზვერი, რომელშიაც მისცეს 60—70 მილიონი მან., აგრეთვე ღორი, ღვინო, ლომი, მჭადი და სხვა მრავალი წვრილმანი ხარჯები, ყველა ესენი მას სასყიდელი დაუჯდა; ჩემს შეკითხვაზე, თუ რისთვის სჭირია ყველა ეს ხორაგეულობა, ასეთი პასუხი მივიღე: „ჩქარა ორმოცი დღე შესრულდება, რაც ცოლი გარდამეცვალა და ალაპი უნდა გავმართოო". დაახლოებით რომ ვიანგარიშოთ, ყველა ეს ხარჯი 250—300 მილიონს მიაღწევდა მაშინ (ეს იყო ოქტომბრის შუა რიცხვებში), რაც ძლიერ საგრძნობია სოფლის პირობაზე. რომ მას ამ ხარჯების მაგივრად 50 მილიონი შეეწირა რაიმე კულტურული მიზნისათვის გარდაცვალებულის ხსოვნის პატივსაცემლად, ეს სხვებსაც მაგალითს უჩვენებდა და ამით შეიძლებოდა სხვებსაც წაებაძა მისთვის; ხოლო ის ზნე-ჩვეულება, რომელიც ძველი დროიდან მემკვიდრეობით არის გავრცელებული, თანდათანობით აღმოიფხვრება.

ახალ ცხოვრებას—ახალი დროის შესაფერისი ზნე-ჩვეულება მართებს. ამ მხრით კი ახალი დროის მესაჭეს—კომუნისტურ პარტიას—კიდევ დასჭირდება მედგარი შებრძოლება აგიტაცია-პროპაგანდის ჩატარებით და კამპანიით იმ ზნე-ჩვეულებებთან, რომელთაც ეწოდება „ტირილი", „ალაპი" და „საკურთხი", რომლებიც მშრომელ მასას უკიდურესს ეკონომიურ პირობებში აყენებენ.

უშანგი ჯაში.

ბიბლიოგრაფია

„ჩვენი მეცნიერება" № 4—5

ყოველთვიური სამეცნიერო კრებული

სულ რამდენიმე წელიწადია, რაც ქართულ მეცნიერებას საკუთარი კერა გაუჩნდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სახით.

ამ დროიდან დაიძრა გაყინული წერტილიდან და ფართო ნაბიჯებით გაექანა წინ ქართული მეცნიერებაც, ენაც და მთელი კულტურაც, მიუხედავათ მეტად არახელსაყრელი ეკონომიური პირობებისა. ქართულმა უნივერსიტეტმა შემოკრიბა თავის გარშემო რუსეთისა და ევროპის სხვადასხვა ქალაქებში გადახვეწილი ქართველი მეცნიერები, რომელთა მეცადინეობით და ხელმძღვანელობით იზრდება ქართველი სტუდენტობა. უნივერსიტეტმა უკვე შესძლო მეცნიერული კვლევა-ძიების გაჩაღება სხვადასხვა საკითხების გამოსარკვევად და ამ კვლევა ძიების შედეგები ხანგამოშვებით კიდეც ქვეყნდება ჟურნალების თუ ცალკე წიგნაკების სახით.

ჟურნალი „ჩვენი მეცნიერება" წარმოადგენს უმთავრესად ტფილისის უნივერსიტეტის პროფესორთა შრომების კრებულს.

კრებული დაყოფილია ცალკე დარგებათ, რომლებსაც რედაქტორობენ სპეციალისტ-პროფესორები, რაც თავდები უნდა იყოს ჟურნალის შინაარსიანობის და მაღალი ღირსების. ასეთი კრებულის გამოცემლობას, ჩემის აზრით, ხელს უნდა უწყობდეს როგორც სახელმწიფო, ისე ფართო საზოგადოება, და მეტად არაბუნებრივია ის მდგომარეობა, როდესაც სამეცნიერო ჟურნალის გამოშვებისთვის საჭირო თანხები მხოლოდ საქველმოქმედო საღამოებზე გროვდება. მართალია, რომ კრებულს ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ ჩვენი ღარიბი სამეცნიერო ლიტერატურისთვის მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. გაცილებით მეტი მნიშვნელობა ექნებოდა კრებულს, რომ იქ მოთავსებული წერილები არქეოლოგიურ მტვერს სცილდებოდნენ და თანამედროვე საკითხებსაც აშუქებდენ. ასეთები კი კრებულში თითქმის სრულებით არ მოიპოვება, ზოგიერთ მის ნომრებში მაინც.

კრებულის უკანასკნელ მე 4—5 ნომერში მოთავსებულია ს. გორგაძის წერილის დასასრული, „ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში". ავტორს მე-11 საუკუნიდან მე 19 საუკუნის პირველ ნახევრამდე სულ ორმოცი ფილოსოფიური თხზულება უპოვია ქართულ ენაზე. წერილში საყურადღებო ცნობებია მოყვანილი ამ თხზულებათა გავრცელების შესახებ მათ ავტორთა და მთარგმნელთა აღნიშვნით. შემდეგი წერილი კრებულში „ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსი და მისი ისტორია" ეკუთვნის კ. კეკელიძეს, რომელიც ვახტანგის ისტორიკოსათ სთვლის ლეონტი მროველს.

გ. ნათაძეს „მსხვილი მიწათმფლობელობა უძველეს საბერძნეთში" საინტერესო საკითხს აშუქებს ძველი დროის უძლიერეს სახელმწიფოს საბერძნეთის დემოკრატიის ცხოვრებიდან.

კრებულის ამავე ნომერში მოყვანილია ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია. წიგნი მე 4". ქართული ისტორიის დამუშავებაში პროფ. ჯავახიშვილის უდიდესი ღვაწლი მიუძღვის. კარგა ხანია, რაც ის „ქართველი ერის ისტორიის" გამოქვეყნებას შეუდგა და ამჟამად მესამე წიგნის გამოქვეყნებამდე, რომელიც ავტორს მთლად დაწერილი არ ჰქონია, ამ კრებულში ათავსებს თავის შრომის მეოთხე წიგნს, რომელშიაც გაშუქებული იქნება მე 15 და მე-16 საუკუნე. სამწუხაროდ „ქართველი ერის ისტორიის" ეს ნაწილი უფრო მასალებს წარმოადგენს ისტორიისთვის, ვიდრე თვით ისტორიას. თუ ეს ნაკლი წინანდელ მის ნაშრომებსაც ჰქონდა, აქ კიდევ მეტად სჩანს, რასაც თვით ავტორიც, ადასტურებს, როდესაც წინასიტყვაობაში ლაპარაკობს თავის თხზულების „სრული სახის" შესახებ.

ივ. ჯავახიშვილი დიდ დროს ანდომებს მეფის აღმზრდელების და ნათესავების ვინაობის გამორკვევას რასაც ძალიან ცოტა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ისტორიისთვის. კიდევ უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს მეფის ავადმყოფობის აღწერას, რომელსაც მთელ თავსაც კი უძღვნის ავტორი და ამბობს, „რომ 1439 წ. ალექსანდრე მეფე თომა მეწოფლის სიტყვით მძიმე ავადმყოფი შექმნილა" და ამ სიტყვების შემდეგ სულ ზედმეტია განმეორება: „მას რაღაც ავადმყოფობა შეჰყრია, მძაფრი ტკივილებისა გამო საშინლად იტანჯებოდა თურმე". ან კიდევ ქვევით: „ბოლოს, როგორც ეტყობა, სხეულს სენისთვის მაინც დაუძლევია და მეფე ალექსანდრე, განკურნებულა" (91 გვ).

ასე უმიზნოთ და უშედეგოთ ხშირად კარგავს დროს პროფესორი, და მკითხველიც ვერავითარ სარგებლობას ვერ ნახულობს ასეთი წვრილმანების და უმნიშვნელო ფაქტების გაცნობით.

თავისთავად ჯავახიშვილის შრომას დიდი მნიშვნელობა აქვს. ვინაიდან ხსენებული პერიოდი საქართველოს ცხოვრებისა დღემდე თითქმის სრულებით გაშუქებული არ ყოფილა.

ჯავახიშვილის წერილის შემდეგ მოყვანილია: ტფილისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორთა შემადგენლობა ფაკულტეტზე და განყოფილებებზე 1923—1924 სამოსწავლო წლისთვის.

კრებული თავდება „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1920 წლის ანგარიშით," შეიცავს სულ 112 გვერდს და ღირს 65 [illegible]

Primus.

ჩვენი ფოსტა

ამხ. მეთვალყურეს. შემოიარეთ რედაქციაში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტი შაბათს, 10 ნოემბერს, დღის თორმეტ საათზე, იწვევს საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების კოლეგიის **თათბირს** დღის წესრიგი: 1. მუშკორების შესახებ. 2. სკოლისა და წრეების მოწყობის შესახებ. 3. კლუბებში მუშაობა. 4. კომკავშირში პოლიტ-ცოდნის გამორკვევის შესახებ. 5. მიმდინარე საქმეები.

მოწვეულნი არიან რაიკომების საგ.-საპრ. განყოფილებათა. ს. პ. კ. ს. კულტ-განყოფილების, ს. კ. ა. კ. ტფილისის კომიტეტის, კავკასიის ცალკე არმიის და ქალთა განყოფილების წარმომადგენლები. დასწრება სავალდებულოა.

ტფ. კომიტეტის საგ. საპრ. განყოფილების გამგე: მ. ესსენი.

— პარასკევს, 9 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, ტფილისის საგ.-საპროპაგანდო განყოფილება იწვევს **რედაქტორებისა და კომუნისტ მუშკორებისა თათბირს.** დასწრება სავალდებულოა.

საგ.-საპრ. განყ. გამგე: ესსენი.

პროფესიული

განათლების მუშაკთა სახლში.

— 9 ნოემბერს, საღ. 7 საათზე, საბუნებისმეტყველო წრის სხდომა, სომხურ ენაზე.

— 9 ნოემბერს, საღ. 8 საათზე, ქართული ენის წრის სხდომა.

— 9 ნოემბერს, საღ. 6 საათზე, რუსული ენის წრის სხდომა.

— 9 ნოემბერს, საღ. 7 საათზე, რუსული ენის წრის სხდომა.

— 9 ნოემბერს, საღ. 6 საათზე, მუსიკისა და გალობის მასწავლებელთა წრის სხდომა.

— 9 ნოემბერს, საღ. 7 საათზე, პოლიტეკონომიის წრის სხდომა სომხურ ენაზე.

— 10 ნოემბერს, საღ. 5 საათზე, პროფ. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით პრაქტიკული მეცადინეობა მინერალოგიაში.

— 10 ნოემბერს, საღ. 7 ნახ. საათზე, პოტონოვას საზოგადო მოხსენება სახვითი ხე

— 10 ნოემბერს, საღ., 6 საათზე დაიწყება გ. ნათაძის ლექციები საზოგადოებრივ მეტყველებაზე ქართულ ენაზე.

ლოვნების მორიგი ამოცანები. სავალდებულოა დასწრება ხატვის ყველა მასწავლებელთა და სკოლების გამგეების.

— 12 ნოემბერს, ორშაბათს, საღ. 7 საათზე, დანიშნულია ყველა ტექნიკურ თანამშრომელთა კრება პოლიტანბანის წრის საორგანიზაციოდ.

— 13 ნოემბერს, საღ. 6 საათზე, პოლიტეკონომიის წრის სხდომა რუსულ ენაზე მანაკინის მოხსენება პოლიტეკონომიის საგანი.

ორშაბათს, 12 ნოემბერს, საღ. 7 ს., ფიზიკო-მათემატიკის წრეში რუსულ ენაზე კალიშევსკის მოხსენება პირველი კონცენტრის ფიზიკის კურსის შესახებ 7 წლედში თამამშევის ალგებრული ელემენტი ოთხ წლედში.

პერელმანის წიგნის რეცენზია.

ფიზიკური ქრესტომატია.

ამავე დღეს საღ. 6 საათზე, ფიზიკისა და მათემატიკის პროგრამის შედგენის კომისიის სხდომა.

13 ნოემბერს, საღ. 7 საათზე, მათემატიკური წრის სხდომა სომხურ ენაზე.

განათლების მუშაკთა სახლის გამგე შიუკაშვილი.
საქმეთა მმართველი ბარამიძე.

განცხადებები

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი მეუღლე მინა თომას ასული, შვილები: ბაგრატ, სოკრატ, სოფიო, კატო და მარო; ძმები: აპოლონ და ათინოგენი, დები: გალინა და ქეთევან და სიძე ლაზარე ძიმისტარიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

მღვ. ლავრენტი ივანეს ძე ფულაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 11 ნოემბერს, სოფ. ჭანჭათში (გურია).

117—1—1

ღრმად დამწუხრებული აპოლო, ევლამპი და ბიძიხა, ხიხა, გიგი და კაცური ფულაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ სოფ. ჭანჭათში გარდაიცვალა პირველის საყვარელი ძმა, მეორისა ძვირფასი მაზლი და დანარჩენების უსაყვარლესი ბიძა

მღვ. ლავრენტი ივანეს ძე ფულაძე

დაკრძალვა სოფ. ჭანჭათში (გურია) კვირას, 11 ნოემბერს.

120—1—1

თამარ, ნინო ნიკოლოზის ასულნი და იულონ ნიკოლოზის ძე ლომაურები აუწყებენ მეგობრებს, ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ნოემბრის 6 ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი დედა

სოფიო ალექსის ასული ლომაური

გამოსვენება მოხდება პარასკევს, ნოემბრის 9. ნაშუადღევის 3 ნახ. ს. საკუთარი ბინიდგან (აგურის შეს. Кирпичный пер.) № 19, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე დასაკრძალავად.

118—1—1

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის მომწყობი კომიტეტი ამით აცხადებს

შემდეგი მასალების დამზადების შეჯიბრებას

350 ცალი ფარფორის იზოლატორი სიგრძით 100—110 მილიმეტრი, სიგანით 80—90 მილიმეტრი, კაკვებით ხისათვის. 25 ცალი მრავალ სანთლიან 220 ვოლტის სანათები. ძალით თითო სანათის სინათლისა 300—1000 სანთელი. სანათები უნდა იყოს ნახევარ ვოლტიანი. განცხადება სრული ანუ ნაწილობრივი, აღნიშვნით ფასებისა ჩერვონცებში ფრანკო ტფილისი უნდა შემოტანილ იქნას არა უგვიანეს ა.-წ. 10 ნოემბრის დღის 12 საათის სამუშაოთა სამმართველოს სამასალო განყოფილებაში (ლადო დუმბაძის ქ, № 3). სამუშაოთა უფროსის თანაშემწე—გ. კიკნაძე.

კრ. 720 2-2

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის აგების კომიტეტი

ამით აცხადებს თუთიაში ამოვლებულ ფოლადის ბაგირების (კანატი) დამზადების

შეჯიბრებას

შემდეგი ზომებით:

500 სიგრძ. მეტრი ბაგირი დიამეტრით 48 მილიმეტრამდე გაგლე ლონის ძალით არა ნაკლებ 130 ტონისა. 1.240 სიგრძ. მეტრი ბაგირი დი მეტრით 1[illegible] მილიმეტრამდე ლონის ძალით არა ნაკლებ 10,5 ტონისა. 36 სიგრძ. მეტრი ბაგირი დიამეტრით 14 მილიმ. 400 სიგრძ. მეტრი ბაგი დიამეტრი 12 მილიმ.

ჩაბარების ვადა დიამეტრით 12 მილიმეტრის ბაგირისა დაუყოვნებლივ დანარჩენებისათვის არა უგვიანეს სამი თვისა.

განცხადება სრული ან ნაწილობრივი აღნიშვნით ფასებისა ჩერვონცებში ფრანკო ტფილისი უნდა იქნეს შემოტანილი არა უგვიანეს ა. წ. 10 ნოემბრის დღის 12 საათისა სამუშაოთა სამმართველოს სამასალო განყოფილებაში (ლ. დუმბაძის ქ. № 3).

719—2—2 სამ. უფრ. თანაშემწე გ. კიკნაძე.

საბავშვო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმი ქალის

გ. დ. ხანცისის

მედიცინის ექიმის ვ. ვ. შენგელიძის

მუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-დან 4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვთათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობით და შაბათობით. კრუზენშტეინის ქუჩა № 1. (რუსთაველის პრ. კუთხე) № 18—14.

(46—25—18)

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა

რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით კურნობა

ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

78 25—11

დაიკარგა უმუშევარის ფურცელი № 2, მოცემული დამზღვევ კასიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად. ტერმლაშვილი ალექსი.

121—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი, მოცემული ბაქოში ვაგან რაჯულაევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

116—1

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა, მოცემული ქ. თომის სამხედრო კომისარიატის მიერ № 1 გიორგი გოიგოლის ძე ფალავანდიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

119—1

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა საშა წულუკიძის ქ. № 4.